

# 335 წელი



A. DEME-C-nd.

აკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებისათვის გაზეოთი; გამოდის უოველ ძვირა დღეს

№ 28

0 3 ლ 0 6 0 5 1898 წ.

№ 28

**შინუარსი:** ცოტა რამ ისურონიდან ნ. ურდანისათვის.—სხვა-და-სხვა ამავა.—კვალის კორესპონდენცია.—კვირიდან ავირობდე.—გ. ჭალადიდელის სიკედილის გამო, ღერესი დეტე მეგრელისა.—წერილი საინგილოდან ნ. კ—სა—საიდუმლო ბა-თები ჭორანულის.—კიდევ ორიოდე სიკედა ჩვენ ინტელიგენციაზე ი. ფარიან-სა. —მგზავრის უენიშენები (გაგრძელება) ფ. პარ-კიშილისა.—ტანი მოთხოვთა დ. თომაშვილისა.

**რედაქციის ადრესი:** არცილერის ქუჩა № 5, იმის ბირდაბირ სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

კვალის ხელის მომწერლებს მოვაგონებთ ვისაც ფუ-  
ლი არ შემოუტანით პირებელ ივლისიდან გაზეთი  
ესპობათ.

ცოტა რამ ისტორიიდან.

**ჩ** დეს მთელი საფრანგეთი დღესასწაულში გა-  
ხელი. დღესასწაულობს დიდი და პატარა, ღარიბი  
და მდიდარი, ქალი და კაცი. ყოველ ქალაქს, ყო-  
ველ კუთხეს სადღესასწაულო ფერი ადევს, სამხია-  
რულო ბეჭედი აზის, სასიმოენო მზადებაშია. ეს არის  
საერთო, საყველთაო დღესასწაული და გმელიდება  
არა ერთი ან ორი დღე არამედ ორი კვირაც. რა  
დღეა ეს დღე? რა ამხიარულებს საფრანგეთს? ეს  
დღე გახლავს — დღე პარიჟელთა აჯანყების და ბას-  
ტილიის აღების. ორ ივლისს, 1789 წ., აჯანყებულმა  
ხალხმა ბასტილია დაანგრია, ამას არ ივიწყებს  
საფრანგეთი და მასთან ერთათ არ ივიწყებს მიელი  
ექირაცა, მთელი კაცობრიობა. რატომ? რისთვის? რა  
არის ბასტილია?

ბასტილია — ეს ერთი ძველის-ძველი ციხე იყო,

აგებული პარიჟის მიყრუებულ ქუჩაზე. ციხე არა გა-  
რეშე მტერთაგან დასაცავათ აშენებული, არა უცხო-  
ეთთან ბრძოლაში გამოსაყენებელი, არამედ შინაურ  
მოქალაქეთა საპყრობილეთ გაკეთებული, შინაურ  
ხალხთან საბრძოლებელათ მოელინებული. ბასტილია  
სატუსალა, სატუსალო უსაშინელესი და უსაშიშო-  
ესი, რომელიც კი თდესმე ქვეყანაზე აღუმართავთ.  
ფიქრობ სახანაირათ — ეინემ ერთი რომელიმე ეფისკო-  
პოსი? — მაშ მობრძანდით ბასტილიაში. ფიქრობ სახანა-  
ირათ — ეინემ პოლიციის ერთი რომელიმე უფროსი? —  
მაშ მობრძანდით ბასტილიაში. და მერე იცით  
რას ნიშანეს ბასტილიაში შესელა? ბასტილიაში შე-  
სელა — ეს სამარეში ცოცხლათ ჩასელა, კუპოში  
ცოცხლათ ჩასვენებაა, მიწაში ცოცხლათ დამარ-  
ხეა. მაგრამ, უბედურობაც ის არის, რომ ყოველი-  
ვე ეს ცოცხლათ არის, ყოველივე ამას გრძნობა, ხე-  
დავ და განა შეიძლება იმაზე უფრო სატანჯველი,  
როცა შენივე დასამარება შენვე უნდა იგრძნო,  
შენვე უნდა იხილო? დიახ, ბასტილია საპყრობილეა,  
საპყრობილე ისეთი საიდუმლოებით და სიბნელით  
მოცული, რომ ერთ მის გაგონებაზე თანამედროვეთ  
ერუანტელს დაუვლიდა ხოლმე ტანში. მისი შესავა-

ლი კარები ურიცხვი იყო, ხოლო გამოსავალი კი არც ერთი. შეძლება საღმე წამოგცდა ისეთი რამ, რაც არ მოეწონა ბატონ პოლიციელს, მორჩა და გათავდა, შენი ბინა ბასტილია. შეიძლება ისეთი რამ დასწერე, რაც ეჭვით უყურებს არსებულ თვით-ნებობას, ეს საქართვისა, შენი ბინა ბასტილია. ბასტილია ბინა უყელა თავისუფალ მოაზრეთა, უყელა პარაპირ მოლაპარაკეთა, უყელა პატიოსან მწერალთა. აზრი, ლაპარაკი, მწერლობა—აი რას ერჩის და ებრძეს ბასტილია. ნაკლები აზრი, ნაკლები სიტყვა, ნაკლები წერა საზოგადოებაში; მეტი შეუგნებლობა, მეტი სიჩუმე, მეტი მოთინება ხალხში—აი ბასტილის მიზანი და მოწოდება. გონება თავისუფალია აფრიკაში, კარიეში, განათლებულ ხალხში. იქ თვალი გაქვს იმიტომ, რომ დაინახო, აქ თვალი გაქვს იმიტომ, რომ დაიძულო. ერთი სიტყვით ხევდრი კი კვლიშაცისა სატუსალოა, ხვედრი სიველურისა თავისუფლება. მონობა ახალი მოვლენაა, თავისუფლება კი ძევლიო—თქვა ქალბატონ სტაელმა. მაშ აღვადგინოთ თავისუფლება, მოვიპოვოთ ეს დაკარგული სამოთხეო—გაისმა აქ იქ საფრანგეთში. აი ამ ხმის დასათრგუნავათ ააშენეს უზარ-მაზარი ციხე, აამალ-ლეს ბასტილია. ასეთი ბასტილია სულ ოცამდი იყო საფრანგეთში. მარა უყელა ეს თავს იყრიდა ერა უმ-თავრეს ბასტილიაში, რომელიც პარიჟს გადაურებდა. პარიჟი საფრანგეთის ქალაქთა ქალაქია, პარიჟის ბასტილია საფრანგეთის ბასტილიათა გასტალია. ფრანგთა აზროვნება, ლტოლვილება და მისწრაფება პარიჟში პოულობს საბუდარს, აქ იკრიბება და ერთ მედგარ ტალღათ ხდება. მარა აქვე სათავეში ბასტილია და ეს ტალღაც ბასტილიაში გადადის და იქ ჯურლმულ ში იფანტება. ამ ნაირათ, საფრანგეთი მდგომარეობს პარიჟში, პარიჟი კი ბასტილიაში. და განა მარტო საფრანგეთი? არა, საფრანგეთი— მთელი კაცობრიობაა, მისი მიღწეულება— მთელი ეკრობის მაღლებილებაა, მისი შელახული სახელი— ეს ქვეყნის შელახვა. ბასტილი ია გადაეფარა პარიჟს, გადაეფარა საფრანგეთს, გადაეფარა კაცობრიობას. ბასტილიამ და-ტუსაღა კაცობრიობის აზროვნება! აზროვნება ხომ ადა-მიანის აუცილებელი მოთხოვნილებაა, ის უსაზღვროა. აზრით უყელგან შეგიძლია იყო, უყელაფერს შეგიძლია შეეხო, ის შეერდენიეთ მალია, ხანჯალი-ეთ ბასრია, უცხლიერით მწვავია, ზღვასაეთ მღელ-ვარეა, ქარ-ტეხილერით მძლავრია და ამის შეკვება, ვზის გადაღობება... პო, რა აღვილია და იმავე დროს

რა ძნელია! მოაშორე ერთი მოაზრე ქვეყანას უდიანებელი ხაც რომ აღვილია; მოაშორე ქვეყანას აზროვნება და ბასტილია რომ ძნელია; ეს შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ რომ აზრი უხილავია, ხელ-შეუხებელია, ის აქაც არის, იქაც არის, აქაც ანათებს იქაც ანათებს, უყელგან მყოფელი, უყელგან მანათობელია და ამის შეკვება... პო, რა ძნელია, რა ძნელია... და აი ასეთ ძნელ საქმეს ემსახურებოდა ბასტილია. ეს კიდევ ცოტა, ბასტილიამ დაატუსაღა ადმიანის მეტყველება. სურს ვისმეს თავისი აზრი გამოთქვას, ადის ტრიბუნაზე, იწყებს ლაპარაკს—ლაპარაკობს კარგს, ასე, სისულელეს, სიბრძნეს, ამას, იმას—უყელა ეს სულ ერთია, ის არ ჩერდება, ის ლაპარაკობს. თავის აზრს, თავის გრძნობებს, თავის აწმენას, ლხინს თუ მწუხარებას, ოცნებას თუ სინ-მდევილეს ორივე ხელით აქეთ-იქრთ თესს, აპნეს, ქეეყნის ოთხივე კუთხეს ესვრის. მრის სიტყვა ესმის მსმენელს, ესმის სამშობლოს, ესმის კაცობრიობას. და რამდენათაც ის ძლიერია, იმდენათ შორს, შორს ისმის მისი ელერა. მრა, აი, ბასტილია აიმართა და უყველივე გაქრა. ბასტილიამ დამარხა ადამიანის მეტყველება. ბასტილია ქადაგებს პირუტყველია და ამაგრებს უენობას. შესაძლებელია ეს? დააღუმეთ ერთი კაცია—ეს ძალიან აღვილია; დააღუმეთ კაცობრიობა—ეს შეუძლებელია. და ასეთ შეუძლებელ საქმეს ემსახურებოდა ბასტილია! ის რაც უნდა მოხდეს—დე მოხდეს, ის რაც უნდა დაიბადოს—დე დაიბადოს, ის რაც უნდა ალორძინდეს—დე ალორძინდეს, ამ ბუნებრივი მსვლელობის შეკვება— ნეში მჯდომის მენავესთან ბრძოლა, ეს არეულ-დარეულობაა, ეს უწეს-რიგობა. სწორეთ ასეთი იყო ბასტილის მოქმედება; წეს-რიგი ბასტილიით! სიმშეიდე ბასტილიით! დიახაც იყო სიმშეიდე, იქ სადაც სიცოცხლე არ არის რასაკვირველი სიმშეიდე. ბასტილის ქვეყანაზე გამეფება—ეს ქვეყნის ბასტილიათ გადაქცევაა. ბასტილის დანგრევა— ეს ქვეყნის ბასტილიიდან გამოხსნაა. ვის უნდა გაემეფებია ის? ვის უნდა დაენგრია ის?

ბასტილის დაბლა მთელი ხალხი იღვა, ვინ იდგა მს მალლა? ვინ და არისტოკრატია და სამღედელოება. ბასტილია— აი ამათ instrumentum regni— ბატონობის იარაღი იყო. ის ნიმნაეს ამ ორი წოდების ძალ მომრეობას და გამძლავრებას. ცხადია, ბასტილია უნდა გაემგრება ამათ, ხოლო უნდა დაენგრია ხალხს. ხალხის წინ-წაწევა ბასტილის უკან დაწევა, ხალხის გაგონიერება ბასტილიის ფრთხების შეკვება, ხალხის გალონიერება ბასტილიის დარღვევა. მარა საკვირველი ის არის, რომ რამდენათ ცხოვრება განვითარდა, იმდენათ ბასტილია აუტანელთ გახადეს; მისი ფანჯრები სანახევრიოთ ამოაშენეს, ტუ-

სალმა სინათლე არ დაინახოსო, სასეირნო ადგილები გა-  
აუქმეს, ტუსალმა კარგი ჰასტერი არ ჩაისუნოქოსო, გა-  
ლავანი აამალლეს, შიგნიდან არავინ გაიცეს და გა-  
რედან არავინ დაგვეცესო. ერთი სიტყვით ციხე  
ჯოჯოხეთათ აქციეს. და აი, ამ ჯოჯოხეთში მიაჯა-  
ჭეს საფრანგეთის ამირანი, ამირანი შეუდრეველი,  
გაუჩერებელი, დაულალავი, დაუთრგუნველი, მუდამ მოძრაობი—ეს  
ამირანი ადამიანის გონებაა. ეს ადამიანის გონებაა,  
რომელიც ბასტილაში დააწყევდის ერთ საუკუნეს,  
ორ საუკუნეს, სამს, ხუთ საუკუნეს, მარა ბოლოს  
მაინც იშოვა გამოსავალი და გამოვიდა კიდევ უფ-  
რო გაახალგაზდებული, გაძლიერებული და გასპეტა-  
კებული.

აი რას წერს ერთი ასეთი მიჯაჭეული ამირანი  
(მირაბო) 1778 წ. თავის შეილს: „ჩემო შეილო,  
მე არ მეღირსა აკვანს მერე შენი კოცნა, მე მომ-  
ტაცეს ეს სიტყბოება, შენ არც-კი იცი თუ რა ნა-  
ირი მამა ვიქენებოდი შენთვის. მარა იქონიე მაინც  
ჩემი ჰატიის ცემა და გადაეცი ეს შენ შეილსაც.  
როცა ამას წაიკითხავ უეჭველია მე ცოცხალი აღარ  
ვიქენები. შენ აქ ამოიკითხავ იმს რაც ჰატიესაცემი  
იყო ჩემში, ეს არის ჩემი სიყვარული კეშმარიტების  
და სიმართლისა, ეს არის ჩემი ზიზღი პირ-მოთხეო-  
ბის და მტარეალობისადმი ჰო, შეილო ჩემო, უფრ-  
თხილდი მამაშენის ნაკლულევანებას, სამაგიეროთ  
შეითვისე მისი მამაცობა, შემომფუცე, რომ საუკუნო  
ომს გამოუცხადებ მტარეალობას...“ ამ ომშაც აღარ  
დაიგვიანა, თერთმეტ წელს შემდევ იმან იუეთქა სა-  
ფრანგეთის ოთხსავე კუთხეში. ხალხი შეეტაკა თავის  
უფროსებს. გაჩალდა რევოლუცია. ასეთ საერთო  
არეულობაში გათენდა რორი ივლისი. ხალხში შიძ-  
შილობაა. ხალხი კი იარაღს თხოულობს. რისთვის?  
ფურნის გასაცარცვავათ? კუჭის დასაჭმაყოფილებლათ?  
რა სათქმელია, არა ამისთვის, არამედ ბასტილის  
ასაღებათ! მუშა, ხელოსანი, მეწერილმან—ყველა  
ბასტალიისაცენ მიიწევა, ნეტა მაინც იდესმე აქ ჩაე-  
მწევდით მათი. წრის კაცი, მათი ნაცნობი, მათი  
ნათესავი. მიუხედავათ ამისა, ხალხი პურის მავიერ  
ციხეს თხოულობს! იმ ციხეს, საღაც სიმართლითვის  
და კეშმარიტებისთვის საუკუნოებით იტანჯებოდენ. აი  
ასეთი მაღალი გრძნობით არის შეპყრობილი ხალხი და  
მაშინაც კი როცა ის დაბლა ეშევბა, თუმცა იშეიათათ,  
თავის სიდიადეს მაინც არ ჰყარგას,—„მე ვკვდები მე-  
გობრებო, მარა ნუ გეშინიათ, მაინც აიღებთ“—მია-  
ძხა ბასტილის კარებთან სასიკვდილოთ დაჭრილ  
მუშამ თავის თანამებრძოლოთ. და კიდეც აიღეს. ის  
ერთიანათ დაანგრიეს, ქვა-ქვაზედაც აღარ დატოვეს.  
ხალმა დრომ შერი იძია და დღე ამ შერის ძიებისა

არის დღე ქვეყნის განახლების და ძველი ფეხულების დამსხვერევის.

ა რას დღესასწაულობს დღეს საფრანგეთი, ა რას შეიცავს ეს დღესასწაული.

### 6. ჟორდანია.

#### სხვა-და-სხვა ამბავი.

ეს ათი დღეა თ. ივანე მაჩაბელი დაიკარგა. პო-  
ლიცია, ნათესავები და მეგობრები დაეძებენ, მარა  
დღემდის მისი კვალიც ვერ აღმოაჩინეს. უეჭველია აქ  
რაღაც დიდი საიღუმლოება უნდა იყოს და, როგორც  
ჩანს, ამის გამოაშკარავება დიდ ღროსაც მოითხოვს.

როგორც უწყით, მასწავლებელი დუმბაძე, რო-  
მელსაც მისი თანა შემწე ქალის მოკვლა ბრალდებოდა,  
ოლქის სასამართლომ გამართლა იმ საბუთით, რომ  
შეშლილია და მიუსაჯა საავათმყოფოში დატოვე-  
ბა. ამის წინააღმდეგ პროკურორმა (და აგრეთვე დუ-  
მბაძემ) პროცესტი შეიტანა სასამართლო პალატაში.  
პროკურორი უახს ჰყოფს დუმბაძის შეშლილობას  
და თხოვს ჰალატას: გაუქმოს ოლქის სასამართლოს  
განახენი, იცნას ის დამნაშავეთ მეორე ტომის 1455  
მუხლის ძალით, მარა ამასთანავე შეამდგომლობა  
აღძრას ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა ეს  
სასჯელი ეპატიოს დუმბაძეს ან და ისეთი სასჯელი  
მიეცეს, რაც უფლებების ჩამორთვებას არ შეიცავს.  
უამის უფლება მან მოიპოვა თავისი სინდისიერი მუ-  
შაობით სახალხო განათლების ასპარეზზეო.

პოლიციამ დაკეტა თფილისის ორი ქარხანა  
იმისთვის, რომ შენობა ძალიან ძევლია, შეიძლება  
ჩამოინგრეს და ხალხი დააზარალოსო.

თფილისის ერთ ხმოსანს საბჭოში წინადადება  
შეუტანა: ამოვარიჩიოთ მუდმივი სარევიზიო კომისია  
ხმოსნებისაგან, რომლის მოვალეობა იქნება ქალაქის  
საქმეების ყოველ მხრივი გაშინჯვა და შემოწმებაო.

27 ივნის ოზურგეთში მომარტო გურიის თავად-  
აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა: ოზურგეთის  
მომავალ პროგიმნაზიას შევაწიოთ ორი ათასი მანე-  
თი ყოველ წლივო. კარგი მაგალითია, თუ ეს, რასა-  
კეირველია, მარტო განახენათ არ დარჩა.

ქუთასის ქალაქის არჩევნები დაუმტკიცებია  
მთავრობას.

ბათომიდან გეწერენ: 25 იენისს ბეთანოვის ზა-ოდში მუშათა შორის უთანხმოება მოხდა. ოსმა-ლეთის ქვეშევრდომებში განაცხადეს დაკლებულ ფა-სათ მუშაობა (50 კაპ., 70 - 80 კ. მაგიერ). ადგილო-ბრივ მუშებმა არ მიუშვეს ისინი სამუშაოზე და კი-ნალამ სისხლის ღვრა მოხდა. მარა მალე დაამშეიდეს და მუშაობა ისევ დაიწყეს. როტშილდის ქარხანაშიაც დაუკლეს ფასი დღეში 40 კაპერკამდე.

დაარსდა ნაეთის მწარმოებელი ახალი ამხანა-გობა სახელწოდებით: „ი. გ. ოუმაევი და ამხ.“ რო-მელსაც ძირის თანხათ ორი მილიონი მან. აქვს.

ჩქარა დასრულებენ გლეხთა დებულების გადა-შინჯვას და შემოდგომაზე უკკე შემუშავებული იქ-ნება პლანი ახალი დებულებისა.

სამინისტრო ამზადებს ახალ ნორმალურ წეს-დებას სახალხო კითხვების და ბიბლიოთეკების შე-სახებ.

„კვალის“ ქორეაპონდენცია.

ათომი. იყო დრო, როცა ბათომის მექარხენები მუშებს ექცევდნ, მეტი ჯამავირითაც ასრგებლებ-დენ მარა საკმარს მაინც ვერ შოულობდენ; ორ მანე-თამდის აძლევდენ უბრალო მუშას დღეში, მაგრამ მუშა ამასაც არ ჯერდებოდა, რადგანაც ქარხნის გა-რეთაც ბლომათ იყო სამუშაო; აქ უფრო მეტსაც ღებულობდა და დასახირებაც არ მოელოდა მანქა-ნებისაგან. ცხადია წინანდელ ბათომის მუშებს გაცი-ლებით უკეთესი ბედი ჰქონებიათ ახლანდელებზე. წინეთ მუშათა რიცხვი ისე დიდი არ იყო, როგორც ახ-ლა არის, მაშინ სოფლები იშვიათათ თუ გამოდიოდა თავის სოფლიდან. ის ცოტათ თუ ბევრათ იქაც იკა-იყმა-ყოფილებდა თავს, და იდევ კარგათ ვერ მიმხდარიყო თუ თავის კერის მოშორებით ფული იშვებოდა. ასში ერთი, ისიც მიწის მუშაობის არა მოყვარული, თუ გამოდიოდა გარეთ. მაშინ ბათომი ბინძურ თა-თრულ დუქნებიდან, ევროპიულ ქალაქთ უნდა გა-დაკეთებულიყო: უნდა აგებულიყო ქეის სახლები, გამართულიყო ქეით მოფენილი ქუჩები და სხ. და სხ.

მაგრამ „დროინ იცვალენ“, თუ წინეთ სოფლე-ბიდან იპატიქებდენ მუშები, დღეს თავის თავათ ქარ-ხნის ალაყაფის კარებთან გროვდებიან მუშები გულ-ზე ხელ დაკრეფილნი და ელოდებიან სამუშაოს, მაგრამ ამათ; მათ არავინ არ უძახის, არავინ არ პატ-რონ-ფარეველობს.“ რათა? რატომ ხდება ეს? სოფელში მიწას ძალა მოაკლდა. ის წინანდებულათ აღარ აჯილ-

ლოებს მუშაომელ მარჯვენას; იძლევა მხოლოდ მცირე-ჯილდოს, რომლითაც გლებს არამც თუ შეუძლია სხვა და სხვა მოთხოვნილების დაკავილილება, არამედ მას და მის ოჯახს სარჩოთაც არ ჰყოფნის. თავის რჩენის სახსარი კლებულობს და სუსტლება, ათას გვარი მოთხოვნილება კი დღითო დღე მატულობს და დიდდება, ცხვერება გაჭირდა და აი, გაისმა ხმა: ზერასთან ტრიალით არაური გამოდის, მინდა საძმე ფულის საშოვნელათ წაეიდე.“ მწარე ბედმა ჰკრა გლებს პანლური, (არა მარტო გლებს, არამედ სხვა წოდებასც), მიატოვებინა ცოლ-შეილი, მოხუ-ცი დედ-მამა და ბათომის ქარხნების ალაყაფის კარე-ბთან ამოაყოლინა თავი. აქ მას სხვა ათასიც დახვდა და თუ სამუშაო რამ გამოჩნდა ამუშავებენ იმას, ეინც ყველაზე უფრო ნაკლებ შრომის სასყი-დელს მოითხოვს. მაშ, საკვირველიც არ არს თუ ღებს შრომის ფასმა ქარხნებში აერე შესამჩნევათ დაიწია. ამას კიდევ ისიც დაუმატეთ, რომ სამუშავო იშვიათათ იშვევება და თქვენ აღვილათ შეგძლე-ბათ წარმოიდგინოთ ახლანდელი მუშების მდგრმა-რეობა ბათუმში.

რას უცდიან მუშები, თუ სამუშაო არა აქესთო? იყითხაეს მკითხველი, ხომ არაეინ ატყუილებს მათ სამუშაოს მოგცემოთ? ამ კითხვაზე მკითხველს ასე მივუგებ: სიტყვით არა და საქმით კი. აი, ბატონებო რას უცდის: ხანდახან მექარხენები უმატებენ მუშა-ობას, სწორეთ მაშინ, როცა მათ გემი აქ ჰყავთ და რამდენსამე ღებს უნდა დატვირთოს ნაეთით სა-საესე სკივრებით და დანიშნულ ვადაზე გამგ-ზერონ. მაშინ ქარხნის პატრონი უმატებს მუ-შაობას; გუშინ თუ ოთხასი კაცი მუშაობდა, დღეს 1500 კაცმა უნდა იმუშაოს მის ქარხანაში, რომ დროზე ჯემის პატრონთან პირ ნათლათ გამოეიდეს. მერე? მერე კი მუშებს ქარხანაში სამუშაო არა აქეთ. იმათ ისევ ისე უნდა იცადონ ალაყაფის კარე-ბთან მექარხნის დაძახებამდის, ტეირითის მიმღების გემის მოსელამდი, ნამუშავარი ფულის მიღებამდის, რასაც ზოგი მექარხნე ორ კვირაში ერთჯერ იძლე-ვა და ზოგი კვირეში ერთჯერ (იხ. „კვალის“ № 17 წერილი ქ. ბათუმიდან.). ეს ათასი, ათას-ასი კაცი და ხან მეტიც დადის, დაღოღიალობს, სამუშაოს დაეძებს და ჰკითხულობს: რომელ მექარხნეს უწინ მოუვა დასატვირთავი გემიო.

ბათუმის მექარხენებს შორის აქეთ სახელი გაერ-დნილი, ასე გაშინჯვეთ შუა გულ რუსეთიდან, ოსმა-ლეთიდან და სპარსეთიდანაც ბევრი აწყდება ბათუმს, რომლებიც, იძულებულნი ხდებიან უოველ გვარ სი-გლახეს მიმართონ სამუშაოს უქონლობის გამო.

მუშებთა შორის ურევერა რეა. ცხრა წლის ბაფ-შებიც, რომლებიც დედ-მამაც დაუჯერებია ქარხნის

სახელის ქება-დიდებას და შეიღები ფულის მოსაგებათ უპატრონოთ გამოუშეიათ. მაგრამ თეთი მკითხეელიც დამერწმუნება, რომ, არაც თუ ბავში რამეს შოულობდეს, პირ იქით, რაც ტანზე აცვია ისეც უცედება, სახლიდან წამოლებული ორი გრიშიც ეხარჯება. მერე? მერე კი ხდებიან მსხვერპლი შიშილისა, სიცივისა, უბინაობისა და ათასი ამ გვარი გაჭირებისა; ერთი სიტყვით, რჩებიან ის საბრალონი სხვა მუშებთან ერთათ, ბათუმის „კონტრაბანდებათ“.

თუ რომელსამე მათგანს „გაულიმა ბედმა“ და ქარხანაში სამუშაო იშოენა მწარე ბედი აღვება: გონება უჩლუნგდება, ხალისი ეკარგება, სმენას და მხედველობას აკლდება; მანქანა ხელ-ფეხს ჭრის და ან სხეულის სხვა რომელსამე ნაწილს.

ჩემ გასამტყუნებლათ, მკითხეელო, დააყენეთ ერთათ ორი ბავში, ერთი ქარხანაში მომეშავე და მეორე სოფლის, რომელსაც ჯერ ქარხანა არ უნახას და დარწმუნდებით, რომ პირეელისათვის ქარხნის გაფუჭებულ ჰაერს ნახევარი სიცოცხლე ჩაუქრია. მეორე სიცოცხლით საესეა, წითელ ვაშლისაფით არის მისი ლოცვები და ყოველ წუთში ბავშური თავ და-ვიწყებით მზათ არის იხტუნოს, ითამაშოს და უცელ-ქოს; პირეელი კი (ქარხანაში მომუშავე) ბიასაეით გაყითლებულა და შემდეგისათვის, ნაცელათ იმისა რომ ფერ ხორცი შეიმატოს და დაეჭერა ცდეს, ჭკნება, თვალები ულრმავდება და პირის სახე უუშნოედება... ამას თქვენ დაუმატეთ ისეც, თუ როგორ ხდება ბავში ზნეობითაც: ის, მშობლის სიახლოეს მოკლებული, ცუდ წრეში ჩაერჩნილი, ეჩვევა ყოველსავე გარეუნილობას, ორგულობას საქმეში, უზრდელი სიტყვების წამოსრულას, ლეინის სმას, თუთუნის წევას, ქურდობას და სხ...

დრო არის ბავშებს მაინც მიეკციოთ ყურადღება და შესაფერი მფარეველობა გაფუშიოთ.

ბათუმის მექანინებს ადვილათ შეუძლია, როგორც წინეთ ჰყავდათ მუშები ისე იყვანონ ახლაც და მუშას ყოველ დღე აძლიონ სამუშაო, მაგრამ ამას არ შერებიან, რადგანაც გაკეთებული სკირები გემის მოსვლამდის საწყობში უნდა ეწყოს და ეს ცოტა მეტი ჯდება.

დასჭირდი.

### კვირიდან კვირამდე.

გზა სინახელისა — ერთი საცირკელი „იზმი“ — ცხრავების მესუთე ბორბალი — უკედაფერი ქადაქს.

უ კვირაში ერთი დიდი დღე ქუთაისაც ჰქონდა. დიდი დღე, და ძალიან დიდიც. ეს დღე, ასე

ცოტებათ, სინანულის დღე იყო. ქუთაისიც სინანულის გზას დაადგა. პირეელით ახლა იგრძნო, რომ მაც რაღაც სიმძიმე აქვს აკიდული და თავისუფლათ ნა-არულს არ ანგზებს. პირეელით ახლა მიხედა, რომ რაღაც ულელი ადევს კისრათ და ვიღაც სადღაც მი-ერებება. არ იფიქროთ ეს სიმძიმე, ეს ულელი ნივ. თიქრი ხასიათისა იყოს, ხელთ ქმნილ საკანს შეიცავ-დეს, არა, ის ზნეობრივი თეისების არის, ის ხელთ უქმნელი ულელია, ის თვალით უხილავია, ხელით შეუხებელია, მარა ძალიან სასტიკი და შეუბრალებელი კი. რა არის ეს? ეს გახლაქს ერთი-ორი პირის ამოხებება, მათი ბუმბერაზათ დასახვა და მათი განუკითხათ მორჩილობა. ეს ნიშნავს ამ ორიოდე პირის ამაღლებას, ცამლის აყვანას, ხოლო დანარჩენთა დამდაბლებას, მიწასთან გასწორებას. და ის ასე დაჯაბ-ნებულ და აბუჩათ ავდებულ ქუთაისმა მოინდომა უეხებ წამოდგომა, ენის ამოლება: ჩვენც ვართ ქვე-ყანაზეო. დიახ, ქუთაისმაც ენა ამოილო, ეჭვიც და-ბადა და ასე გაშინჯეთ ანგარიშიც კი მოითხოვა იმისი, რაც წინეთ ასე დაჯერებით ჩაუმდა.

\* \*

ვინ იყვნ ეს დამჯერებელნი? საიდან გამოტყენ ეს ბუმბერაზნი? ამათი გამოცნობა ძნელი არ არის. ესენი ერთ პირშია განხორციელებული, ერთ არსებაშია თავ მოყრილი, ერთი მიმართულება აქვს მიცემული. ამ მიმართულების სახელია კირილიზმი. როგორც ხედავთ ეს „იზმი“ აც ერთ დღევანდლაშის ცნობილ „იზმებს“ არ ჩამოგაეს, არსად ამის შზეავს არ არსებობს; ის ერთათ ერთი ქუთაისის ნაყოფია და იმდინარე ქუთაისშივე დარჩება საშვილი-შეილოთ. რას შეიცავს ეს ქუთაისის „იზმი?“ ახირებული კითხვაა, რას შეიცავს! ერთი მითხარით: განაკითხულობს ამას ვინმე? სწორეთ იმიტომ არის ის ქუთათურთა საფრთხე-უალი, რომ არაფერს არ შეიცავს, თუმცა გულ-უბრიყვილო ბულევარდი დარწმუნებულია, ეს რაღაც „იზმია“ ფარსა რასმეს არ წა-რმოადგენსო. მან ერთხელ გადაძახა: მე ვარ წარმოგზა-ვნილი უზენაესისაგან და მე მცემდეთ თავეანსო, — შენ ხარ, შენ უფალი ჩვენი — მიუგო ქუთაისმა. ამას შემდეგ კა ხანი გაეიდა, ერთი ორი თაობაც ალიზარდა, მარა კირილიზმის თაყვანის ცემა ისევ ძალაში დარჩა, ამას არავითარი „აპელაცია“ და „კასაცია“ არ მოწყო. და აი დღეს გამოუღიძიათ სხეისი თაყვანის ცემის მოყვარულთ და ერთი საშინელი კითხვა წა-მოუყენებიათ: ნუ თუ ყოველივე ის რაც ბრჭყვინაეს ოქროა! მაშ გაუმარჯოს ამ ახალ ქუთაისს!...

\* \*

ერთ ახირებულ ძილში თურმე ჩვენც. ოფი-ლელნიც, კი ვყოფილებათ. დღემდის ყველას გვრწა-

მდა, რომ თუ ვკითხულობთ, ვმუშაობთ, მცედიარო, მოედინარო — ერთი სიტყვით ქვეყანაზე ვბოგინობთ — ეს სულ ბურჯების წყლობითა და ერთი მათგანიც რომ გაგვექცეს, მაშინვე მთელი ეს აწყობილი ცხოვრება ერთი მხრით მაინც ჩამოიწევა და შეიძლება კიდევაც ჩამოინგრესო. და აი, ახლა ეს ბურჯება წავიდ-წამოეიდენ, მიიფანტ მოიფანტენ და... პოი საკურველებავ... ჩვენც ისევ ძველებურათ ვატარებთ ამ წუთისოფელს, ისევ ისე ეშრომობთ, ვკითხულობთ, ვფოჩიხობთ, როგორც წინეთ. არავითარი ცვლილება, არავითარი შერყევა, ერთი სიტყვით არაფრით არ ჩანს, ბურჯები ისევ აქ არიან თუ სადმე გადაიხეწენო. გამოდის რომ ბურჯობენ თუ არ ბურჯობენ, არიან თუ არ არიან — ეს სულ ერთია, ცხოვრების ბორბალი ისევ ისე აგვატრიალებს, როგორც ყოველთეს; არც თავდაყირა გადატრიალება, არც გზა-კვალის დაკარგვა და არც უალაგო-ალაგას გადაჩეხა. მიედინარო და მიედინარო ჯიქურ, სწორ გზაზე.

\* \* \*

პირ-იქით, სწორეთ აქ არის არეულ-დარეულობა საღაც ბურჯები ბურჯობენ. ამის ქართული მაგალითი საყოველთაოთ ცნობილია, ხოლო ერთ არა-ქართულს ახლა მოგახსენებთ: ყველამ იცის თუ რა და-დი ბურჯი ბრძანდება თფილისის გამგეობა თავისი ამ-ყოლ-დამყოლით. აი, ეს უზარ მაზარი დევ-გმირები გა-ცხარებულ ბრძოლაში არიან... და მერე ვისთან? უბრა-ლო მეტივებთან! ეს გაუთლელი სოფლელი თუ-რმე უარს ამბობენ თავის თავის გაყვლეფაზე და გა-მგეობის მიერ დადებულ ბეგარას არ ცნობილობენ. რასაკირველია სანამდე ამას გამოიფიქრებდენ, მანა-მდის კი ხანი გაეიდა და ისინიც გზა და გზა უური-ეით იწველებოდენ. მარა ახლა გამოჩნდა, რომ ეს წველა უკანონ და უსამართლო ყოფილა. გამგეობა თავისი ნებით ახდევინებდა მეტივეთ წელიწადში 15 ათას მანეთს. და მერე რატომ? იმიტომ რომ ქალაქში ხე ჩამოატარეს. მერე? ის რომ მოქალაქეთა საკეთილდღეოთ ფული გვეჭირვება და ეს სოფ-ლელთ უნდა გადავახდევინოთ. აი როგორი „ჩო-თქის“ კაცი ყავს თფილისს. აბა ვინ გამოიგონებს ასეთ ხერხს თუ არა რომელიმე ბურჯი?

გ. ჭალადიდელის (ქოჩაქიძის) სიკვდილის გამო.



ინც აღფრთოვნებით უგალობდა  
მკირთას მძუდსა  
და გასწავლიდა მის სამსახურს  
და სიუგარელსა;  
ვისაც მაჲადის მხოლოდ მისთვის  
უძგენდა გული,  
ცხრა მთას გადადმა, უცხოთა შორის,  
დალა სული!

მაშ, ეგ სიძღიდუ, საქართველოვ,  
რის მაქნისაი?..

მარტო სასელით არის შენი, საკიდებოდება  
საქმით სხვისა!..

მაშინ, რის შენში სხვა ნეტარებს,  
ერთგულს შენ შეიძლს  
ედის სიკვდილი უცხოეთში  
გარდახვეწილსა!..

გვეღილსება და ნეტავ ის დრო,  
რომ მძუდის შეიძლს  
არ ჭირდებოდეს სხვაგან თრევა  
ლუკე შერდისთვის?

მთელ თვის ძალ-ღონეს შესწიორებულება  
მშობელსა მსარეს  
და, გად მოსდომი, ჩაესვენოს  
იქე სამარეს?!..

ლუტი შეგრძლი.

### წერილი საინგილოდან.

**ც**ამ მაისს, სოფ. ალიბეგლის ეკლესიაში ბლომათ ხალხმა მოიყარა თავი. წირეას შემდეგ ხალხი იქავ თუთოს ქვეშ გრილოში შეგროვდა და განიერი წრე გააკეთა. ყველანი ფეხზე იდგენ, ყველას რაღაც მწუ-ხარების ნიშანი ეტყობოდათ. არამც თუ აქაურს, უცხოსაც რომ დარჩა ამ დროს სოფლის ჯამათი იფი-ქრებდა: „ეს ხალხი რაღაც გასაჭირება“ და არც შე-ცდებოდა. ასამდე კაცი იდგა თავისალუნული და რა-ღაც ფიქრს მისცემოდა. მაგრამ აი, ერთმა მათგანმა დაარღება დუმილი შემდეგი სიტყვებით:

— რა ვქნათ ჯამათო?.. გვცემონა?.. გვჯე-კონა?.. (ხალხში სიჩუმეა) გავჩუმდეთა? ჰა ჯამათო? რას იტყვით?.. განაგრძო მანვე.

— როგორ გავჩუმდეთა, დღეს ერთს დაუშინეს,

გუშინ მეორეს, იქ მესამეს, სამართალს თითონვე ჭრიან; მაშ ჩალა გართ ჩეენ?.. მრუდა და მართალს აღარ არჩევენ, უკელას ცემენ, არბევენ, ეკაც სამართალია? მაშ ჩეენი სამართალი ისინა ყოფილან, მაშ ჩეენ დუანი არა გვაქს, მაშ ჩეენ ნაიბი არა გვყავს; ჩეენ ნაჩალიყი არა გვყავს... როგორ გაეჩედეთა ჯამათო, დედა-კაცები ხომ არა გართა... დაუმატა მეორებ.

— როგორ გაეჩედეთა ჯამათო, როცა მანეთ გეოთხვენ; მანეთი გამოიღეთ და არა გცემთო... განა ეგეც სამართალია? თქვა მესამემ.

— იმას კი აღარ ამბობთ, რომ საქონელს თითონ იპარავენ და საწყალ კაცს კი აბრალებენ; ვენახს უფუჭებენ, სახლს უწიოკებენ; ის კი ჩალაა, ალალ-მართალი კაცი გუთნილარ მიჰყავთ, ამწყვდევენ, ორი დღის შემდეგ ბაზარში გამოჰყავთ; იქ აწევენ იმდენ ხალხში და ჯოხით ცემენ, მერმე იმის სახლში მიდიან, იკლებენ, აწიოკებენ, ქათმებს ხოცევენ, კვერცხები გამოაქვთ, ვენახებში ცხენებს უშვებენ; ჩამდენი ერთი უნდა მოეითმინოთ? ჩამდენი უნდა აეარიდოთ ყური? რას დავმდგარეართ? მაშ დავიჯეროთ რომ ხელმწიფებ მისცა წება: „სჯეკეთ მართალიც და მტყუანიც, ქურდიც და ჰატოსანიცო? რას იტყვითა ჯამათო? გაეჩედეთა? შეეკითხა მეოთხე.“

ჯამათი შეინძრა. უკელამ ლაპარაკი დაიწყო და ბეერი ახალი რამაც დაემატა უკვე თქმულს. დასასრულ გადაწყვიტეს: „გაუგზავნოთ ნაიბი (პრისტავს) ვექილები, შევატყობინოთ ჩეენი ამბავი და ის დასჯის იმათან“. მართალია ბეერნი წინააღმდეგი იყვენ და ამბობდენ: „ჩეენ თითონ გაფუსწოდეთ იმათ და ვაჩ. ვენოთ მათრახით ცემა როგორიაო, მაგრამ ბოლოს, როგორც მოგახსენეთ, უკელანი პირებელ გადაწყვეტილებას დაადგენ და ვექილებიც ამოირჩიეს.

უკვეელია იკითხავთ: რა იყო მიზეზი, ან ვინ დაურღვია მყუდროება მუშა ხალხს. ვინ გამოიყვანა ის მოთმინებიდან, და აი ესეც:

ზაქათალის ოლქი ანუ საინგილო, სადაც ქართველი, ლეკი, თათარი, სომხი, ურა და სხ. ერთ-მანეთში არეულან, ქურდობის და აეაზაკობის დაულეველ წყაროთ ქცეულა. აქ იციათი მოვლენაა ისეთი დღე, რომ ახალი ქურდობის ამბავი არ შეიტყოთ. სოფ. ალიბეკლო თუმცა სულ მთლათ ინგილოებით არის დასახლებული და მოზრდილი სოფელიცაა, (130 კომლი) მაგრამ სამწუხაროთ, საზოგადო სენი ამათაც გადადებით და ინგილოებშიაც არა ერთი და ორი ქურდი მოიპოვება. ფულის ქურდობა იშვიათი მოვლენაა, ხოლო რაც შეეხება საქონელს: ცხენს კამენს, ხარს, ცხვარს, თხას და ქათამსაც თუ

სადმე მოასწრეს, თქვენი მტერია! რა თქმა უნდა ზოგს აქ მოჰყაეს მონაპარი, ხოლო ზაგიც აქედან იარავეს. მაინც და მაინც ყოჩალი, სახელოვანი ქურდი ის არის, რომელიც არამც თუ თავის სოფელში, არა-მედ ზაქათალის ოლქშიაც არ იქურდებს, და ნუ-ხის მაზრაში გადადის საქურდლათ. ასეთი ქურდები წინა დროებში ბეერი ჰყოლიათ, ხოლო ახლანდელი დაწერალმანებულან და ვაჟ-კაცს ქათმის მოპარეისაც არა რცხვენია. მართალია ქურდობის დედა ძარღეს-ლე-კები და თათრები შეადგენენ, მაგრამ წმინდა სახე ლა არ ც ინგილოებს შერჩენიათ. ყოველ ნაბიჯზე საგარაულო ქოხებს წაწყიდებით, სადაც მთელი ღამე ოთხა-ხუთი კაცი დარაჯობს. საბრალო მარატლისი დღე მუ დამ ცხენზე ზის და ქურდის კვალს ეძებს. აგრეთვე ხშირათ დაინახავთ ჩაურების გროვას, რომელიც წითელ პოვონიანი ჩანია, მზარზე თოფ გადაგდებულნი და-აქროლებენ ბედაურებს ხან ალმა, ხან დაღმა. იმათ დანიშნულებაც ის არის, რომ ქურდი დაბრულონ და თუ სადმე იპოვიან სამართალს გადასცენ. ამ ბოლო დროს, ისინი თავის სახელს, თავის დანიშნულებას აღემატენ, სარაკო ძალა-უფლებებით აღიჭურნენ და თავისი სამართალიც შემოიღეს, რომელი შეის „მათრახი“ უმთავრეს დანიშნულებას ასრულებს და თუ სადმე ქურდი იპოვეს კიდევაც იმისი წყალობით. სწორეთ ამ მათრახმა გამოიყვანა ხალხი მოთმინებიდან.

ერთი ალიბეგლოელი ახლო სოფელში წასულიყო. მისდა საუბედუროთ ამ სოფელში საქონელი დაიკარგა. პატრიანმა ეს მაშანევ ჩაფარს აცნობა. ჩაფარმა გამოპეკითხა სოფლელებს ვინ აქ უცხოო და სხვათა შორის ალიბეგლოელზედაც უჩეენეს, რომელიც ამ დროს გზაში იყო, შინ მოდიოდა. ჩაფარმა აფრინა ცხენი და ალიბეგლოს სასამართლოსთან კიდევაც დაეწია. ის ჩამოხტა ცხენიუან და ალიბეგლოელიც ვააჩერა. აქვე სულ მოკლე ხანში დამტკიცია, რომ ჩაფარისაგან თეალში ამოდებული კაცი მართლა ქურდი ყოფილიყო. ასე სწრაფათ მარტო იმათი ახალი სამართალი ჭრის. ჭრის იმიტომ რომ აქ შეთანხმებულათ მოქმედებენ: სულია, ბრალმდებელი და ჯალათი. თუ არ გეზარება მკითხველო ამ სამართლის მსვლელობასაც ისე აგიშერ, როგორც მაგალითად... ვისი ეთქვა... ჰო როგორც ზოლას საქმე ირჩეოდა. — მაგრამ გთხოვთ დაიხსომოთ, რომ „სულია“ ჩაფარის თავი გახლდათ, რომელიც სქელ საძირკელის (კისერთან) მიუხედავთ დამერწმუნებით სუსტი არსება იქნებოდა. ბრალ-მდებელი იმისივე ენა გახლდათ, ხოლო ამათი უურ-მოჭრილი მონა, ჯალათი, დიას ლონიერი და შემძლე ვაჟ-კაცი, მარჯვე, თავის საქმეში კარგათ გამოცდილი: მაშ ეგრე:



კართაგენის  
დედოფლალი დადონა (ენეიდან).

№ 28 — 1898 წ.

ი ა რ ა ლ ი

472

ბრალ-დებ. რა უყავ საქონელი აპ?! ქოფა იო-  
ლლი....

ბრალ-დებ. (ცოტა დაბნეულათ) რის საქონელი,  
რას ამბობ...

ბრ-ძ. ვათომ არ იცის!?! თქეი სად დამალე!!  
ჩქარა...

ბრ-ძ. რა დაემალე რას ამბობ კაცოო... მე  
არაფერი მომიპარავს...

ბრ-ძ. მაშ ვინ მოიპარა!.. თქეი სად დამალე,  
აიკისრე...

ბრ-ძ. არ მომიპარავს კაცო გეუბნები რას ჩა-  
მციებიხარ...

სუდია: (ჯალათს) დამნაშავეა, დაჰკარ... ათქმე-  
ვინე...

ჯალათი ჩოხის სახელოს წამოიკალთავებს, ჩათ-  
რას მოიმარჯვებს და რამდენჯერმე მძლავრათ გა-  
დაჰკრავს.

ბრ-ძ. თქეი თუ მოგიპარავს... თქეი მოეი-  
პარეთქო...

ბრ-ძ. არ მომიპარავს, არაფერი ვიცი... გამი-  
შვით...

სუდია: დაჰკა ჯალათო, ფიქრი არა, აიკისრებს...

ჯალათის მწვავე მათრახი კელავ გადადის ბრალ-  
დებელის ზურგზე.

ბრ-ძ. კიდევ არ იტყეი მომიპარავსო, კიდევ  
არ აიკისრებ?...

ბრ-ძ. არ მომიპარავს, არ ვიცი როგორ აე-  
კისრო...

სუდია: იტყეის... დაჰკა კიდევ, ფიქრი არ არის  
აიკისრებს...

ჯალათი ისევ იმარჯვებს იარაღს და მათრახის  
ხმა კელათ დაღადებს.

ბრ-ძ. მოვყედი... გამიშეი... მოშშორდი...

ბრ-ძ. მაშ, აიკისრე... თქეი ქურდი ვართქო...  
მე მოეიპარე თქო...

ბრ-ძ. არ მომიპარავს... როგორ ვთქეა...

სუდია: დაჰკარ... იტყეის...

ჯალათი მუშაობს...

ბრალ-დებ. გამიშეით, მე მოეიპარე... მე...

სუდია: ერთიც გაყოლე...

ბრალ მდ. მაშ ეგრე... კარგი და პატიოსანი...

ჯალათი: უჯ რა დაეილალე...

სამართალი გადაწყდა, ქურდი აღმოჩნდა. რო-  
გორახი?.. დიხ მოკლე და მარტივია. ქურდიც უთუ-  
ოთ გამოჩნდება... ეს ალიბეგლოელიც ჩაფრებმა ნაიბს  
წარუდგინეს, საქონელი ამას მოუპარავს, თითონ გვი-  
თხრაო... ნაიბთან ძალათ-ქურდმა ისევ ძევლებურათ  
არ მომიპარავსო. თქეა, მაგრამ იქ ხომ აგრე ადეი-  
ლათ არ გაასამართლებდენ, როგორც ჩაფრები...

თქეენი რა მოგახსენო მყითხელო და შეცადა მოგოლოდი, არამც თუ  
ასეთ სამართალში რომ მოეყოლოდი, არამც თუ  
ერთ კამების, არამც კურდას კუნძულზე ამერიკის გვ-  
მის აფეთქებასაც კი ვიკისრებდი. იქნება იფიქროთ:  
„მშიშარა ყოფილხარო“... თქეენც არ მომიკედეთ...  
მშიშარა სრულიათაც არა ვარ, მაგრამ, სამართალი  
მათქმევინებდა. თუ გინდ მშიშარაც ვიყო... მაგრამ  
არა... ტყუილი რათა ვთქეა! აქაც ჩაფრის სამართა-  
ლი მეგონა და კინალამ ტყუილი ვთქეო, დასწყევლოს  
ღმერთმა.

არ იფიქროთ ამ უბრალო აშხაგმა ხალხი რო-  
გორ ააღლევაო, ეს ხომ საზოგადო მოელენააო, ჩა-  
ფრები მაშ რისთვის არიან თუ კი არაეისა ცემენო.  
მე მოგახსენებთ რომ, ასეთი და ამაზე ათჯერ უფრო  
მძიმე კიდევ სხეაც ბევრი მოხდა, თორებ ამ ერთი  
კბენით ხალხი როგორ გაჯაერდებოდა.

სოფლის ეექილებმა დაწერეს შესაუერი ქალალ-  
დი და ბ-ნ ნაიბისთვის უნდა მიერთმიათ, მაგრამ ვი-  
ღლაც ვაეჭატონებმა სასამართლოს კარზე დაახვეინეს  
და სიმართლე სასამართლოში არ შეუშევს. დარჩა  
ალიბეგლოს ჯამაათის გოდგბა „ხმად მღალა უებელასა  
უდაბნოსა შინა“. მაგრამ არა ვეგონია „თვეაში ცე-  
ცხლი დაიმალოს“. ერთელაც იქნება ეს უკულმარით  
საქციელი ჩაფრებისა მოსამართლის სტოლზე აცო-  
ცდება...

6. პ.

## საიდუმლო პარატები.

2

ციცი, ძალიან გიკეის, მეგობარო, რომ ამდენ  
ხანს წერილი ვერ მოგწერე! ამ-სი მიზეზი ბევრგვა-  
რია, მაგრამ ყველაზე უფრო რთულო ერთ ა და, რომ  
შენი საყვედურიდან თავი დავისხნა, ამასაც მოგწერ.

იქნება ესეც ისე ზოპროელათ მოგეწენოს, რო-  
გორც წინანდელი წერილი! აკი მწერდი: „ეგ შეუ-  
ძლებელი უნდა იყოს, ავრეთი ქართველი ვინ იქნე-  
ბაო.“ მაგრამ, ცოტა მოთმინება იქონიე და ნახავ  
თუ თითონევ არ დაიძხებენ: ჩევნ ესა და ეს დაგვ-  
წმესო. ხომ გაგიონია: „ქურდი მთხრობელს მიხე-  
დებაო“ ეპ, ამას თავი დავანებოთ და სხეაზე გადა-  
ეიდეთ.

ხომ კარგათ იცი, რომ ჩევნთვის მაისი ცოდეა. მაღ-  
ლის განკითხების თვევა; მაგრამ, აბა თუ ბიჭი ხარ და  
მიხედები — ეინ არი ცოდეა-მაღლის მსაჯულათ ამო-  
რჩეული! ერთი ამ გვარი კრება მსაჯულთა მოხდა,  
ჩასკერველია, მაისში და რაღაც შემთხვევით მე  
და ერთი ჩემი ნაცნობიც დავესწარით ამ კრებას.

მოგროვდენ ყველანი, დასხდენ ადგილსა საპატიოსა და ერთ ლაზათიან დამთქნარებას შემდეგ რჩებანი ხმით წამოიწყო ერთმა მათგანმა:

„ბატონებო, ჩეენ ვართ ბატონ-პატრიონათ აღიარებული „ხალხის განმანათლებელ საზოგადოებისა“ და ვაცხადებთ, რომ ჩეენ გვსურს ეს უფლება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე შეგვრჩეს! თქვენ რას იტყვით ამაზე?“ „ვის რას ეკითხებიო, — წასჩერჩულა გვერდით მჯდომა — აქ ხომ ჩეენს მეტი არავინ არის და ბურთი და მოედანიც ხომ ჩეენ დაგვრჩენია საკუირტოშ-სანაცარდოთო“ „მართლაო?“ — ჩაილაპარაკა ორატორმა და სიხარულით აცაცახებულმა დალად-ჰყო: „ეურთხეულ ვართ ჩეენ და კურთხეულ არიან საქმენი ჩეენნიო.“

„უფალო, უკეთუ კურთხეულ ხარ შენ, მასწავენ მე სიმართლენი შენნიო“ შექადრა ჩემა ნაცნობმა.

„ისწავენ ორპირობა ჩეენი და ამით დაგიმკიდრებთ ადგილსა განსასენებელსა, სადაც ბოროტნილის არიანო“ — მიუგეს ჩემ ნაცნობს.

„უკაცრავათ, უფალო... მე წმიდათა თანა...“ „შენ ჩეენთანა არა გიძევს ნაწილიო... გააწვევტინეს სიტყვა საწყალ კაცს და საჩეაროთ აიღეს კალმები, რომ ხელი მოეწერათ წინდაწინვე გამზადებულ შემდეგ განაჩენზე:“

„ჩეენ, ბატონ-პატრიონი და თვით მპყრობელნი ჩეენთა მოხარკე საზოგადოებათა, რომელსაც „ხალხის განმანათლებელი საზოგადოება“ ეწოდება, — ვადასტურებთ ამ დადგენილებას, რომ ყოველი ჩეენი მოქმედება შეთანხმებულ-შეხორცებულია ჩეენ გონებასთან, ჩეენს სინიდისთან და არავითარი რამ წინააღმდეგი ჩეენი სურეილ-ნებისა არ გვიმოქმედნია... ჩეენთა ეკეშევრდომთა ვალალი ყოველ საფუძველს მოკლებულია, რადგან ქეეშევრდომს იმიტომ ჰქეიან ქეეშევრდომი, რომ იყი მონაა თვისი ბატონისა და, მაშასადამე, — მანა იმისი სურეილისაც... უსაფუძლოა აგრეთვე მათი საჩივარი ჩეენგან დაყენებული „მოღვაწის“ შესახებ, რომელიც ყოველად პატიოსანი და ჩეენი ყურ მოჭრილი ყმა. იქნება ისიც... მტყუანი იყოს, მაგრამ მაინც მართალია, რადგან ჩეენ ასე გვსურს. ამიტომ დღვევანდელ რიცხვს დაგვიდავნია, რომ ყველა მომჩინეანი მონები გამტყუნებული არიან ჩეენის თვით მპყრობელობის ძალით...“

ხელს ვაწერთ: ბატონ-პატრიონი „ხალხის განმანათლებელ საზოგადოებისა“.

ახლა, თუ მა ხარ, შენ მაინც გამავებინე რას ნიშნავს „ხალხის განმანათლებელი საზოგადოების“ ბატონ-პატრიონობა? სხვათა განათლების წინამდლოლი თითონაც ხომ განათლებული უნდა იყოს! და ნუ

თუ ეს არის განათლება, რომ ბოროტი გააძლიერონ და მართალი დათრგუნონ! არა ეს განათლება კი არ არის, დაბნელებაა, გონების დახშობაა, თვით ნება ბატონთა აულაგმაცი ეგოიზმია, სულით სივლახვა და განდგომა იმ კეთილ-შობილური გრძნობილანაც კი, რომელსაც დიდ-ბუნებოვანი აღამიანები ჰუმანიზმს უწოდებენ.

— მაგრამ დახე, ძმაო, უსამართლობას, რა გულქვათ ალიარეს ჩეენმა მებაირალტრებმა: დაე, დაისაჯოს ათი და ხუთმეტი მართალი, ოღონდ ერთხელვე ჩეენგან ქებულ-დიდებული მტყუანი გამართლდესო! ასე რომ არ მოეიქცეთ, ხომ უნდა უარვყოთ ყოველი ჩეენი ნათქვამ. ნაქარი და ეს სხვას რას გვარებულებს, თუ არ დამზადების სკამზე წამოსკუპებასო... ამ, ის წყეული დამზადების სკამი! სულ იმის ბრალია ყველაფერი, თორემ, სკამი რომ არ აჩეროდა თვალწინ, — ყველაფერი მშეიღობიანათ გათავდებოდა...“

ვიცი, მკითხავ: რა მდგომარეობაშია თვით ის საქმე, რომელმაც ეს მტყუან-მართლობა გამოიწვია? გიპასუხად: იმაზე ისე ცოტას ფიქრობენ ჩეენი ქვეყნის ბურჯნი, როგორც ჩინეთის ბოგდიხაზე. ან რათ უნდა იფიქრონ, როდესაც თითონაც კარგათ ბოგდიხანობენ...“

ეს მახლას...

შენი მეგობარი ჭრასტო.

ტიდეგ ლრიოდე სიტყვა ინტელიგენციაზე. \*)

გრიტი გული შენი შვნა.

**გ**ვენი ხალხის ინტელიგენცია ჯერ კიდევ გადაურჩეველი და გაურკვეველია კატეგორიებათ. სულ სხვაა ეკონომიკი. იქ ახსენებ თუ არა რეაქციონერებს, კონსერვატორებს, რადიკალებს ან დემოკრატებს, იცივინ არის ან როგორი პროგრამით არის ალჭურელი, ერთი ან მეორე წრე და შენი მოსაუბრეც მაშინვე გაგიგებს ვიზედაც ლაპარაკობ; ასეთი ცხადი კლასიური დანაწილება ჯერ ჩეენ ხალხში არ მომზღვარა, მაგრამ ჯერ არც იმ განვითარების საფეხურამდის მიესულებათ, სადამდისაც ეკონომიკის ხალხმა მიაღწია. მარა თანახმათ ჩეენი ეკონომიკური განვითარებისა თითონ ხალხი დანაწილებულია რამდენსამე ელემენტებათ, თუმცა კი ზოგ შემთხვევაში რეაქციონერებში ვითომ პროგრესიულ აზრებსაც შევხდებით, კონსერვატორებში რადიკალურსა და სხ..“

\*) ი. „გეგლი“ № 17, 18. ლრიოდე სიტყვა ინტელიგენციაზე. ი. ფარიანის.

მაგრამ ჩეენ ვიცით დაბეჯითებით, რომ ამ ხალხის ნაწილოთ სხვა და სხვა მიზანი და ინტერესი აქვთ. თუ ამ თვალით შევხედავთ ინტელიგენციასაც დავინახავთ, რომ ხალხთან ერთათ ისიც ნაკლებათა განვითარებული; და რასაც ინტელიგენციას ჩამორჩენილია. შედარებით იქ ინტელიგენცის თავისი როლის მოსახლეებით მეტი შრომა და მეტი ცოდნა ესაჭიროება ვინგმ აქ, და ეს იმიტომაა, რომ იქ თითონ ხალხია ვაგონიერებული. და ენც ხალხის გონიერების წინ ვერ წასულა თავისი პატარა ნიჭით ის ინტელიგენტობასაც ვერ დაიჩემებს. ამიტომ ჯერ გადაჭრით არ შეიძლება კაცმა თქვას, რომ იქ, საფრანგეთ-ინგლისში, „ინტელიგენცია გაიღესა ხალხში. მოწინავეობა მას ჩამორთვა და გადაეცა მთელ ხალხს, მთელ ერს კლასებათ და პარტიებათ დაყოფილოს“, როგორც ამას ბ. ნ. ქორდანის „კვალის“ № 23-ში გვეუბნება<sup>1)</sup>). ვიცით, რომ იქ ხალხი მთლათ თავისი ცხოვრების პირობებით წინ წავიდა და მიღის, მაგრამ ჯერ მაინც გადაჭრით (!) ვერ ვიტყვით, რომ ამ კლასებს და პარტიებს თავისით ინტელიგენცია არ ჰყავდესთ, რომელიც თავის წრეს პოლიტიკურ სარბილოზე წინამდლოლობს. ახლა ცხადი შეიქნა რომ, იქაურ განვითარებულ ხალხსაც ჰყავს თავისი მოწინავე ები, თავისი ინტელიგენცია, (!) მაგრამ თუ ჩეენებური მოწინავეობისაუან იქაური მოწინავეობა ცხადათ განსხვავედება, ეს იმიტომ რომ იქაური ცხოვრების პირობები ჩეენებურისაგან სრულიად განსხვავდება.

ჩეენში ინტელიგენტი ჯერ ისე მჭიდროთ არ არის თავის წრესთან ან პარტიასთან შეკავშირებული, როგორც იქ. იქ მოწინავეობის მოსურნე ინტელიგენცის მსჯავრს კენჭით ადებენ, თავის დამცველს ათეთობენ და მოწინააღმდევეს აშავებენ. იქ ხალხს ცოდნა აქვს და ინტელიგენტის ისეთ ნაწერს ეთანხმება, მის ისეთ სიტყვას მოისმენს და მიემხრობა, რომელიც ნამდეილათ მისი ინტერესების გამომხატვე-

ლია. ამიტომ იქ ინტელიგენცის შედარებით მეტოვე უნივერსიტეტი, მეტი ცოდნა ეჭირება, რომ ამ იარაღით მოწინავეობა — ინიციატივით ხელში იქნავთ გადოს. ამ მოსაზრებას მიხედვით იქაც ჯერ ინტელიგენცია ცხოვრებას კი მეთაურობს, მაგრამ დროშა კი უსაფრთხო საფრთხო ერთათ ხელში უჭირავს. (ხაზ გასმულები აქ და სხვაგანაც ჩეენია). ჩეენ გავინა რომ ბ. ქორდანია იმ გარემოებამ შეიუვარა აქეთ ცხად შეცდომაში, რომ იქ, ისე როგორც ჩეენში და რუსეთში, ინტელიგენციის ხელში მწერლობა — ცხოვრებაში აღარ არის; მაგრამ სამაგიეროთ მათ უფრო ნათლათ დამახასიათებელი ტერმინები აქეთ და ამბობენ: რეაქციონერებს, კონსერვატორებს, რაივალებს, დემოკრატებს; რაღაცაც თითოეულ ამ პარტიათაგანს თავისი გნისაზღვრული პროგრამა აქვს, სადაც მოთავსებულია მისიე ინტელიგენციაც;<sup>2)</sup> მაგალითათ რომელი წრის წარმომადგენლები იყვნენ ინტელიგენტები: გლადსტონი, ან მარქსი, ბისმარკი ან ბებელი, ბურჟუა ან ფურესი, მელინი ან გელი და სხვა? რაკი იქაც ინტელიგენცია თავის წრის წარმომადგენელია რაღა თქმა უნდა, რომ ჩეენშიც შედარებით ისეთსავე მოვლენას ვხედავთ, და დიზი შეცდომა ისეთი აზრის თქმა, რომ ვითომ „ინტელიგენცია“. აბნელებს და ბურჟუაზა ხვევს იმ არსებულ ანტაგონიზმს, რომელიც ნამდეილათ ასებობს ცხოვრებაშიც“. თუ ხალხში არსებულ ანტაგონიზმს ბისმარკი ან მისთანები აბნელებები, სამაგიეროთ მარქსი და მისთანები წყვედიად აქრობენ და თვალ საჩინოთ ხდიან „ხალხში არსებულ ანტაგონიზმს.“ თუ ბ. ქორდანია დაგვიმტკიცებს, რომ მარქსი ან ბისმარკი ინტელიგენტები არ არიან, მაშინ შეიცვლება საგრის ასეთი გარკვევა; მაგრამ ჩეენ გვრჩებას, რომ ისინიც ინტელიგენციას ეკუთვნიან ამ ტერმინის ხმა-რების მიხედვით.<sup>3)</sup>

<sup>1)</sup> აქ ნიშნავს „ჯერ გადაჭრით“? მ. შ. მერე შეიძლება? და როდის არის ეს მერე? ისტორიული მსველებლება ასეთი „ჯერ“, „გადაჭრით“ და სხ. არ ფოჩიბობს. წინადაბეგებ ავტორის აზრისა, საუკეთესოთ ცნობილია, რომ მაგ. რუსეთის ინტელიგენცია გაცილებით მეტი ხაზოვდა განსაღება აქვს ვინგმ ეკრანისას. რუსეთის სტუდენტი — უკრძალული, ხოდი ეკრობის კი ბავშვი. და ეს ასც უნდა იყოს. სადაც ხალხი დაწეულია იქ ინტელიგენციას ცდილობის ცხოვრებას თავისი ძალა-ღონით ატარებს, რისობისაც მეტი შრომა და ცოდნაა საჭირო. სადაც ამას თითონ ხალხი შემცება, იქ ინტელიგენციას ადარ აქვს ასეთი მოთხოვნილება და ასპარეზი.

<sup>2)</sup> ავტორის აზრით უკელა ჰარტიას თავისი ინტელიგენცია მეთაურობს და მაშინდებლები პრადიგისური ბრძოლა — ეს არის ბრძოლა ინტელიგენცია შერის! ე. ი. ისტორიის ჩარჩო ინტელიგენციას და არა კლასთა განწყობილება. ეს ნამდვილი ინტელიგენციები ადარ არიან, მაშინ შეიცვლება საგრის ასეთი გარკვევა; მაგრამ ჩეენ გვრჩებას, რომ ისინიც ინტელიგენციას ეკუთვნიან ამ ტერმინის ხმა-რების მიხედვით.<sup>3)</sup>

<sup>3)</sup> ავტორი ჭროფს ინტელიგენციას რამდენსამე გარეგონიათ, ისე როგორც ღვთის მეტეველი ჭროფს სა-

როცა ბ. ქორდანია შეურიგდება ინტელიგენციის ხალხთან ერთ კატეგორიებში მოთავსებას, მაშინ ინტელიგენცია ჩენთეის აღარ არსებობს, როგორც ერთი მთელი და ცალკე მომქმედი არსება, <sup>4)</sup> ის აღარ არის ერთი თავის მექონი და აღარც ერთ საერთო კალაპოტშია მომწყვდეული. შემცდარი აზრია აგრეთვე ვითომ „ინტელიგენცია (მთლათ განურჩეველათ), თავის უნდებულათ, რეაქციონურ როლს თამაშობდეს.“ თუ კი ინტელიგენციაში მოიპოვებიან რეაქციონერები, ეხედავთ, რომ იქავე სხვა ნაწილში პროგრესისტებიც მოიპოვებიან და სხვ... ამიტომ ყოვლის უწინარეს საჭიროა რომ ინტელიგენცია ერთ-თავიან მდევათ (!!) არ მოგეჩენოთ; შემდევ არც ასეთ შეცდომაში შეხვალთ, და აღარც ყველა ინტელიგენტების რეაქციონერობაზე მიუთითებოთ მკითხველებს. <sup>5)</sup>

ნება მოგვცეს ბ. ქორდანიამ შემდევი ვკითხოთ: თოთონ ინტელიგენციათა სიაში ირიცხება თუ არა? თუ კი, შემდევ ვიპასუხოს: ბევრია თუ ცოტა ისე-თები, რომელებსაც მასავით რწამთ, რომ „სხვა და სხვა კლასები ვერ მორიგდებიან, და რომ „თხა და მგელი ერთათ ვერ მოძოვენ“. <sup>6)</sup> ამასთანავე, კი უნდა იცო-

რწმუნობას ჰქმდენსამე ნაწილათ და აღიარებს: ჩემი ფლუ-ლი დევისგან მომდინარეობს, ხოლო სხვების კი ეშმა-კისაგანო. ბ. ფარიანის რწყელის ინტელიგენცია უკერ-დათ ჭეშმარიტი ინტელიგენციაა, ხოლო დანარჩენი ეშ-მაკის მოგავშირება. რატომ, რისთვის? ეს აღასმა უწეს. მეორეთ, აკრიტიკული უწეს ამა თუ იმ ინტელიგენტს, რო-გორც პიროვნებას, მოუღიანებათან. ეს უგანა-სგნელი ერთნაირი კლასია, კლასიური ინტერესი აქვს; ერთი პირი შეამდება გადავიდეს მეორე კლასისაკენ (მაგ. მირაბე, სიქი და სს.). მარა ეს მოუღი კლასის გადასკ-ლას არ ნაშნავს. ჩემთვის კარგი და აკ ინტელიგენცია არ ასეუბობს, როგორც არ ასეუბობს კარ და აკ ბურ-გუბადა, აკ და აკ შემა-სალს. თოთოულ მათგანს განსაზღ-ერული აღავი უჭერია ცნობებაში და მის ერთ-ორ წე-რობა თვისი აღავი რომ შეიგადოს ამით მოუღი კლასითა-და არ გადართადება.

6. ქ.

<sup>4)</sup> მაშ აღარც ბურეუბზა არის „ერთი მოუღი“, კინა-იდან ისიც დაურთვილია შეძლებით და პარტიაბათაც? ამ დოდიკით ჩენ მიგადო იქამდის, რომ უარ კუთვთ სა-ზოგადო კედების არსებობასაც.

6. ქ.

<sup>5)</sup> იხ. შენიშვნა 3.

<sup>6)</sup> განა მე რომ ეს მრწამდეს ამით ინტელიგენცია თავის მდგრადარეობას შეიცვლის? ერთ გინდ ასს აზნა-ურს რომ რწამდეს მოუღი მოწინავე წოდება უნდა გაქ-რესო, ამით ოდნავთ შეცვლის ამ წოდების მისწაფებას?

6. ქ.

დეს ბ. ქორდანიამ ისეთი ინტელიგენციის ნაწილის არსებობა, რომელიც მებრძოლ ელემენტებს თავის გონებაში არც არიგებს და ადარც სხვა ვინშეს არწმუ-ნებს, რომ ეს შერიგება ნამდვილია. რეალური არის ისეთი ინტელიგენციის ნაწილი, რომელსაც შე-ურყელათ რწამს ხალხის გულში დაბადებული ან-ტაგონიზმის არსებობა და ამ ანტაგონიზმის თანდათანი ზრდა, რომელიც უფრო და უფრო ამწვავებს და აცხოველებს ერთის ან მეორეს სოციალურ მდგრა-ძობას და შემდევ აგდებს ერთმანეთში განხეთქი-ლებას. არის ინტელიგენციის ისეთი ნაწილი, რომე-ლიც ცხოვრების ამამოძრავებელ პირობებს დიალექ-ტიური მცოდით ჩხრეკს, სწავლობს, შედის ხალხის გულში და არკვეს ცხოვრებისთვის კარგ ან ცუდ მხარეებს, მისი წინ სელის ან უარის მყო-ფელ მიზეზებს. და თუ თანხმობა, ან უთანხმოება აღ-მოაჩინა, ჩენც ის გადმოგვცა და ამნაირათ ეს პრო-ცესი თვალ-საჩინოთ ვაგვიხადა. ამ სახით თვალ-წინ გადაგვეშალა ჩენი საკუთარი მოქმედებიდან წა-რმომდგარი ცხოვრების ცუდი მხარეები. ეს ინტელი-გენციის ნაწილი მეცნიერების სიტყვით ისეთი მოძ-ლოების შემქნელია, რომელიც შეგნებული გამოთქმაა ბევრ საუკუნოების განმავლობაში შეგნებულათ განვითა-რებულ ისტორიულ პროგრესისა; და, როცა რომელიმე ნაწილი ინტელიგენციისა წყვდიალს აქრიბს და ნა-თელს ჰქონს აღამიანთა ერთმანეთზე დამოკიდებულე-ბის მიზეზებს. და გვისნის ცხოვრების მიმღინარეო-ბას, ჩენ არათერი საბოთი არ გვაქს, რომ ისინიც რეაქციონერთა გუნდში ჩავაკრით. <sup>7)</sup>

ჩენ ვერწამს, რომ საერთოთ: ფილოსოფისი, მკელევარი, პატრი, მწერალი, ორატორი, ჩინოვნიკი, მასწავლებელი, ჟურნალისტი, სტუდენტი ანუ აფიცე-რი და სხვ... ყველა ერთათ ინტელიგენციას შეადე-ნენ, მაგრამ ამავე დროს ცხადათ ეხედავთ, რომ არა-თერი საერთო აღარ არის (?!) ფილოსოფისა და ჩინო-ვნიკა, პატრისა და აფიცერ შორის; ამიტომ თითო-ეულ მათგანს აქ თავის საკადრის ადგილს ვუნიშნავთ;

<sup>7)</sup> ინტელიგენცის რომ რამე რწამდეს — ეს ვიდევ არ ნაშნავს, რომ ის ცნოვრების უღელშია გაბმული. და თუ ინ-ტელიგენციიც ჟერციონურ როლს თამაშობს, ეს სდება მის უნებურათ, მისი მდგრადარეობის წესადაბით, ხოლო შეგნება მდგრადარეობზე არის დამოკიდებული და არა მდგრადარეობა შეგნებაზე. აი მაგ. თეგენც ამ თეგენი წე-რიდათ ჟერციონურ როლს თამაშობთ, რასავეირებელა იაქენდა უნებურათ. ამ ნაირი აზრები აძინებს კლასებს და უნერგავს იმ აზრს, რომ აი, ჩენი მსხვერია ინტე-ლიგენციები არან და მათ უნდა შეგუშებდეთ.

6. ქ.

ისეთ ადგილს, რომელსაც ერთის ან მეორის მისწრაფება—ინტერესი ჩერნგან დაიმსახურებს. <sup>8)</sup>

უკანასკნელათ ვიტყვით, რომ ხალხის კულტურულათ ამაღლება ოხოულობს ინტელიგენციის მოშლას კი არა, არამედ ინტელიგენციის უფრო მეტ განვითარებას და გონიერის ძლიერებას, ურომლისოთ(?) ის ინტელიგენციის ადგილზე ვერ დადგება. ამიტომ, აღარც ის აზრია ჯერ (მაშ მერე?) მართალი, რომ ვითომ „ინტელიგენცია“ ისეთი ისტორიული ნაშთი შეიქნება, როგორათაც ეს მოწინავე ქვეყნებშია. — თუ იმ პირობებს ვრგულისხმები, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე ხალხის და მისი წევრების უთანასწორობა; თუ მოვშლით ამ უთანასწორობის მიზეზს, და ყველას თანასწორი სწავლა-განვითარების საშუალებას მივყენო, მაშინ კი დაგეთანხმებით, რომ ის ისტორიული ნაშთი შეიქმნება; მანამდის კი გონიერით ვარჯიშობა ყოველთვის იმ მხარეზე გადაიწევა, რომელსაც გარემოება ამაში ხელს მოუმართავს. ჩერნ დარწმუნებული ვართ, რომ ამის წინააღმდეგ ბ. ნ. ქორდანიასაც არაფრი ექნება. <sup>9)</sup>

#### ი. ფარანი.

P. S. შეიძლება ინტელიგენციის ასე დანაწილებაც: მაღალი, საშუალო და დაბალი, მიუხედავათ მათი კლასიური ინტერესებისა. <sup>10)</sup>

ქუთასია

აეტ.

## მეზაურის შენიშვნები

(ქ. მიუსხენი. <sup>\*)</sup>)

**3** ანონის ძალით მამა-კაცი ვალდებული არა თავისი სატრიფო შეირთოს, მაგრე ჯვარი დაიწეროს უკ-

<sup>8)</sup> ვინ თქვა არა აქვთხა საერთოვრო? უკედა ესენი ხომ გრძებრივ არის ტრადიციას შეადგენენ? მაშასდამე პრივატული გვიების და უაღრესობის გამომარტივები და დამტკიცება. ამიტომაც არის რომ ინტელიგენცია დადგემდის შერ შეუზიგდა მუშათ მომრაობას, რომელიც უოველნაირი პრივატულების მღწიალებიდან გადამდებარდა.

6. ქ.

<sup>9)</sup> ჩერნ არც ერთ აქ გამოთქმულ აზრს არ ვეთანხმებით. მთელი წერილი აგებულია ინტელიგენციურ პრინციპზე და არა კლასიურზე. ეს კლასთა უარის უოფა და მათ ადაგას ინტელიგენცია ჩასმა.

<sup>10)</sup> მაშ ჭრის მიზნებით კლასიური ინტერესი? მაშ ინტელიგენციაც გადასი უფლისა. და ამდენიც უნდა ანაწილოთ ეს მასწავლა კლასთა დაწერება.

6. ქ.

<sup>\*)</sup> ახ. „კულტურა“, № 26.

ჭველათ, თუმცა ეს ხშირათ მოხდება ხოლმე. სატრაფი ჯერ თავისუფალი სიყვარულით არიან შეკვეთ შირებულნი და ეს მათი კავშირი ეკლესიურ საქართველოს არიან. ას ამდენსამე წლის შემდევ მიიღებს, რომა შეიღები კარგა წამოზრდილი არიან. მაგრამ ეს სრულ მათ თავ-სუფლებაზე დამოკიდებული და მალის დატანება არაფრის და არაეს არ შეუძლია. მხოლოდ მამა-კაცს აწევს თავს ერთი ვალდებულება. ეს არის შეიღების აღზრდისთვის მატერიალური ზრუნვა, ამას კარი ავალებს მას. თუ მან თავის ნებით არ იყისრა ეს, ქალი იჩივლებს და სამსჯავრო თვეში 12 მარკას (ნ მანეთს) გადაუწყვეტს მამა-კაცს გადასახდელათ. ესფული ბავშის აღსაზრდელია, სანამ მას დედის ან მამის მოვლა ეჭირება. თუ საყვარელმა უსიყვარულობა გამოიჩინა და ბავშის აღზრდის მოვალეობა, როგორმე თავიდან იცილია, მაშინ ბავში ქალაქის ხარჯზე იზრდება. ქალაქს ბავშებისთვის თავ შესაფარები აქვს გამართული და მათი აღზრდის საქმე იქ სრულ ვიგივნურ სატურდებულზე დაყენებული. ნ წლის შემდეგ სახალხო სკოლაში შეჰქავთ და სწავლის ასრულებიერენ.

ერთი სიტყვით მიუნხენში თავისუფალი სიყვარული (freie Liebe) დამკიდრებულა. 1895 წ. მიუნხენში თუთხმეტი ათასი ბავში დაიბადა. აქედან ერთი მესამედი, ხუთი ათასი, „უკანონოთ“ ე. ი. ფორმალურ ქორწინების გარეშე დაბადებული. ეს არის ოფიციალური სტატისტიკის ჩვენებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ნამდეილათ მათი რიცხვი ნაჩერებს აღმატება. ასეთ ზენ-ჩერნულებას ის შედეგი აქვს, რომ მიუნხენში ხალხი ძალიან სწრაფათ მრავლდება. 1871 წლს მცხოვრებთ რიცხვი იყო 170 ათასი, 1880 წ.—230, 1890 წ.—350 ათასი, ხოლო 1895 წ., როგორც ზემოთაც მოვისენიეთ, 407 ათასი, მაშასადამე, 25 წლის განმალობაში ქალაქს 237 ათასი სული მცხოვრები მომატებია. ასეთი პატარა ქალაქისთვის, როგორიც მიუნხენია, ეს მნიშვნელობას მოკიდებული არაა.

როგორც ხედავთ, აქაურ ქალს თავისი სიყვარულითაც სარგებლობა მოაქვს სამშობლო ქალაქისათვის. ხალხი მრავლდება, ძალა მატულობს, ქალაქი დღითი დღე საკვირველი სისწრაფით იზრდება და წინ მიღის შეუჩერებლივ. ამიტომ საზოგადოების აზრი აღარ უკრძალავს ქალს სიყვარულს, აღარ პკეცს და აღარ ავიწროვებს მის პირად თავისუფლებას. „ეჭ, ახალ-გაზდა ხარ, დატკიცი, გაიხარეო“, ეუბნება ის.

არა მგონია საღმე ისე ადგილი იყოს ქალის გაცნობა, როგორც აქ. ორ-სამჯერ შეხვდით, მასთან იყიდეთ რამდე, ან არ იყიდეთ, მხოლოდ შემთხვევით შეხვედით მის მაღაზიაში,—მორჩა და გათავდა, მეტი გაცნობა აღარ გინდათ. შეგიძლიათ შემდეგ,

საცა შეხვდებით, თავისუფლათ ემასლაათოთ. ან და რამდენჯერმე შეხვედრაც არა საჭირო; ხედავთ ქუჩაში მარტო მიღის, მოგვწონათ, — მიღით პირდპირ, თავი დაუკარით, გაცნობის სურვილი გამოუცხადეთ, ხელის ჩამოსართმევათ ხელი გაუწვდინეთ. ის ლმობერათ ხელს გამოგიწვდისთ, გაიღიმება და ორ წუთში ისეთ მასლაათს გააბაძს, თითქოს ათი წლის გაცნობილები იყვეთ. აქაური ქალისთვის უცნობი კაცის გაცნობა მეტათ სასიამოენოა. მას გაიცნობთ ხოლმე ახირებულათ, ქუჩაში, მარა ქალი ამას უზრადლებას არ აქცევს. მისი ბუნება, ასე ვთქვათ, მეტათ იდიალურია და სიმარტივე ქცევაში არ ეუცხოვება...

უცხოელი მოვიდა მიუნხენში, ნაცნობი არავინ ჰყავს. მხოლოთ რამდენიმე ჰუნინგი დაბარჯოს და ნაცნობებს ბევრს იშვეის. საკმარისია ერთხელ გაზეთში შემდეგი განცხადება დაბეჭდოს: „უცხოელს ნაცნობები არ ჰყავს, ეძებს აქაური ქალის გაცნობას“ და რამდენსამე საათში ასიოდე წერილი მოუვა, ქალები ჰატიერებენ, — სიამოვნებით გავიცნობთ, მხოლოთ ამა და ამ ადგილზე. ასეთი განცხადები აქაურ გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იძეკდება. მახსოვეს, ერთხელ ვიღაცა ასე აცხადებდა: „მწყურან სიყვარული, საუბრელუროთ ქალს არავს ეიცნობ. ჩემი აღრესი“... უცხოელია ამ განცხადების დამწერსაც ბევრი წერილები მიუვიღოდა სხვა-და-სხვა ქალებისაგან...

ასე თავისუფლათ და დამოუკიდებლათ ატარებს დროს აქაური ქალი. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ქალი მანც ქალია. და ეს იმაში გამოიხატება, რომ მას გათხოვებს სურვილი არა დროს არ შორიდება. მიუნხენელ ქალსაც გათხოვება მიზანში აქეს ამოღებული და, აღრე იქნება თუ გვიან, ესის ამ მიზნის მიღწევას. მაგრამ ლოდინსა და შესრულებას შეუდიდი მანძალი...“

რასაკვირველია, მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ აქაური გათხოვება თუ ცოლის შერთვა მაჭანკლების შემწეობით არ სრულდება. ქალს, რომელიც სატრულოს სხეის დაუბმარებლათ ირჩეეს, საქმის გამორჩევა თავის თავათ აღარ გაუჭირდება. რა ამ საქმეს თავის ძალ-ლონით ჩარხავს. როგორც ყველან, ქალის მზითევს აქაც დიდი მნიშვნელობა აქეს. ამიტომ თითოეული ახალ-გაზღა ქალი ამის ცდაშია, რომ ფული შეინახოს და სამზითო დამზადოს. ამას ყველა, რასაკვირველია, ვერ მაახერხებს. მაგრამ თუ ბედმა გაულიმა და მოახერხა, მერე მრსი საქმე გაჩარხეულია, საქმროს აღვილათ იშვეის; ან პირადათ გაეცნობა და შეირთავს, ან გაზეთის საშუალება მიშმართავს. „ახალგაზღა ქალი, სწერია გაზეთში, ეძებს საქმროს, აქეს 3000 მარკა მზითვათ, ხა-

სიათი კარგი აქეს, იცის მეოჯახობა, საქმრო უნდა იყოს წყნარი ხასიათის, ხანში შესულსაც არა უშავს რა. აღრესი... ასეთ განცხადებასაც ხშირად წაიკითხავთ: „ქალიშვილი, 45 წლისა, დინჯი ხასიეთის, ეძებს საქმროს, აქეს მზითვი—10000 მარკა, ავქს აგრეთვე ერთი დუქანი.

აქ ერთი კითხვა საინტერესო: როგორ უცხოელიან საქმოები ქალის წარსულ ცხოვრებას? აი ამის პასუხი: „ქალიშვილი, — ამბობს განცხადება, — 25 წლისა საქმიათ ლამაზი, კარგი ყოფა-ცეცვის, თავდაჭერილი, დინჯი, კარგი მეოჯახე ეძებს საქმროს. ჰყავს ორი შეილი, ქალ-ვაჟი - ქალი არის 4 წლის, ვაჟი ორის, მარა ძალიან წყნარი ხასიათისანი არიან და ამასთან მეტათ ჰყვიანები. შეძლება აქეთ 2000 მარკა. საქმრო არ უნდა იყოს ძალიან ხანში შესული. აღრესი“...

ამას განმარტება აღარ ეჭირება.

აქაური გაზეთების განცხადებებში მეტათ საინტერესო „შერთვა-გათხოვების“ განყოფილება (Heiratff), იქ ბევრ აქაური ცხოვრების დამახსიათებელ ამბებს ამოიკითხავთ. მამაკაცებიც ხშირათ აცხადებენ გაზეთში ცოლის შერთვის სურვილს. საზოგადოთ აქ განცხადებით გათხოვება თუ ცოლის შერთვა ჩვეულებრივი ამბავია.

თუ ხალხის რაოდენ აბას შეეუფარდებთ, ქორწინებათა რიცხვი აქ ბევრი არაა. მამაკაცები ცოლ-შვილის თავზე მოხვევას ერთდებიან. რამდენისამე წლის სტატისტიკური ცნობები შევადარე ერთმანერთს და დაერწმუნდი, რომ ამ მხრით აქაურ ქალებს ბედი ნაკლებათ წერობთ.. უმრავლესობა უქმროთ რჩება და თავისუფალ სიყვარულში ჰპოებს ნუგეშს და კმაყოფილებას.

ჩაგრამ კმარა. დავანებათ თავი გაუთხოებებს, იმხიარულონ, რამდენიც ჰსურდეთ. ჩვენ კი ახლა გათხოვილი ქალი და მისი ოჯახი გავიცნოთ.

ფ. ჰარემშვილი.

(მემდებარებელი)

„ტ ა ხ ი“.

(მოთხოვთა)

I.

**ც**უ!.. ცმის „ჰარი-ჰარალი“, „კუჩხა-ბედნიერი“, „ნეფერა“, „მაყრული“ და სხვა. ამაებს ხან-და-ხან აჰევება დამთვრალთა „ჰეი-ჰეის“ ძანილი, გახურებული დაირა-ტაშის და მასთან არეულ ცეკვა-ბრახუნის

ხმა. ნეტა რა აშბაეი? მიცუახლოედთ ჩუმათ და შორისაც მაინც ვადეენოთ თვალ ყური. აი, გრძელი და ვიწრო მამა-პაპური სუფრა დგას ერთ დიდ დაბაზში. ქალებს დაუჭერათ სუფრის ის ნაწილი, რომელიც სამზარეულოზე უფრო ახლოა, და კაცებს კი — რომელიც მარანზე. — ალბათ მისთვის მღერიან ესენი ასე ხშირათ:

„მსპინძელ გარგათ მსპინძლობს  
გულითა მსიარელითთ,  
ახალი ჩექმა დაგრიჭა  
მარანში სიარელითო!“

ან კაცე: „მსპინძელი უხვია,  
თუ არ გადაუხვა“..

ამ დროს მასპინძელი გადახედას სუფრას და თუ სადმე ლეინის ნაკლებულობა შეაჩნია, „გადახევე“ არ შემატებონ, წამსვე შემოაბევინებს ლეინით სავსე დოქს და თან დასძენს: „დალიეთ, თქვენი ჭირიმეო!“ სტუმრები, აბა, როგორ გაწმილებენ ამისთანა მასპინძელს!..

„მეფე-დედოფალი“ ვაცეკვოთ, „მეფე-დედოფალით“, წამოიძახა ვიღამაც. აპა!.. აქ ქორწილი ყოფილა! აბა, „ნეფენის“ და „მაყრულს“ რათ მღეროდენ, თუ ქორწილი არ ყოფილიყო! მარა ისეც მოხდება ხოლმე, რომ „ნეფენის“ და „მაყრულს“ „უბრალო“ ლხილშიაც მღერიან, ეგება ამ სიმღერებმა გასათხოვებს გულში გაულიტინოს და გათხოვებას დაუქჩარონო. რას გამოელიან აქედან-ცხადია: ქორწილში დროების გატარებას. მავრამ... ეპ! რასაც უნდა გამოელოდენ!. ჩეინ ახლა მათოვის აღარ გვცალიან, — ავერ ქორწილია და ვინ არის მეფე ან დედოფალი, გამოვიცნათ. აქ გამოცნობა არც გასაჭირია. აი მათი გამოსაცნობი ნიშნები: ისინი არიან თეთრათ ჩამული, რომელიც განგებ ამ შემთხვევისთვის არის შეკრილი; თეთრათ ჩამული ქალი და კაცი ერთათ სხედან და ყველაზე მეტათ მორცხვებენ. ნამეტნავათ ქალი მორცხვებს, — იგი თავ-ჩალუნული ზის, თვალები იატაკისთვის მიუშტერებია, მაგრამ ყოფილი იმისთანა შემთხვევაც, რომ დედოფალი აქეთ-იქით იყურებოდეს და უფრო კი იმ კაცისკენ, რომელიც მას გვერდით უზის. მეფეს იმდენი გამოსაცნობი ნიშნები არ აქს, რამდენიც დედოფალს, — მასაც, როგორც ზევით ვთქვით, თეთრათ ტანისამოსი აცია, ცოტა ისიც მორცხვებს, სამა ღლობელს და ხან სადღეგრძელოებსაც კი შადანათ მიირთმევს; როცა მეფე-დედოფალს თხოვენ იცეკვეთო, მეფე დედოფალზე უწინ გამოატადებს თანამობას; რაც ზის, ცერითა და სალოკი თითოთ ულვაშებს იწმენდს, თითქო საკოცელათ ეძნადებათ; შალ-მალ გადაპხედებს ხოლმე დედოფალს და ყოველ გადახედვაზე ჩუმათ ულვა მებში, რომელსაც ამ დროსთვის ჩამოვუშავს, გაიღიმებს და სავა-და-სხვა.

აბა, მკიოხევლო, დაუუკვირდეთ, ვის უფრო ეტყობა ეს ნიშნები: აი, თეთრათ ჩამული, სხედან, სხევებში უფრო დინჯობენ... ჰა! შეგაბეროსთ მზე და მთვარესავით!.. აი, ვიღაც ახალი სტუმარი მოვიდა, აილო ხელში დიდი ჭიქა, ლეინით საესე, მიულოცა მეფე-დედოფალს და გადაუშვა ლეინო დალოცეილ ყელში. ტოლუმბაშის ბრძანებით ყველამ დალია ამ კაცის სადღეგრძელო. მართლა, ორიოდე სიტყვა ტოლუმბაშე: — ეს არის კარგა მოსული ვაჭკაცი, მომსხო, ქრის სახის პატრონი, მისი თვალები... მარა მის თვალებს რას დავეძებო! ლეინოს კი კარგათა სეამს და, სხვა ლირსება აქ საჭირო არაა! იგი, წესისამებრ, უნდა იყოს ამორჩეული „დამხვდურთაგან“, რადგანაც დღეს ქორწილის პირველი დღე: გუშინ ეს ხმაურობა არ ისმოდა. „დამხვდურები“ ძალიან ეჯიბ-რებიან „მოსულებს“. ეს „დამხვდურ“ — „მოსულები“ ეინდა არიან?.. „დამხვდურები“ არიან დედოფლის მშებლებისან ამორჩეული მარჯვე-მარჯვე ლეინის მსმელები, ამ შემთხვევისთვის განგებ მოპატიებულნი: — მოსულებმა არავინ დაგვითრონ და, თუ შეძლება, ჩეინვე დავათროთ ისინი და ლეინით კისერი მოვტეხოთო. მარა არც „მოსულები“ ისე „ნაყარი ხალხი“! ისინიც ამორჩეული გახლავან მეფისაგან: — დამხვდურები დავათროთ, სუფრიდან გაერეკოთ და ბურთ-მოედანი ჩეინ დაეირჩინოთო. რადგან ასეთი ჯიბრობაა მოსულ-დამხვდურთა შორის, ამისთვის თითოეული მაყარი ცდილობს არ დათვრეს და როგორმე ლეინის დალევა თავიდან აიცილოს. ამიტომ ისინი ხშირათ სუფრას ქვეშაც ლერიან ლეინოს.

დაღმდა. საშინლათ ცივა, გიორგობის თვეა, ბნელი, უმთვარო ლამეა. შეგვიძლიან გულ-დასმით ვადეენოთ ქორწილს თვალ-ყური. აი, ტოლუმბაშია აილო ყანწი: ხელმეორეთ ადლეგრძელეს გლეხი ან-ტონა ნიღაბაძე, დედოფლის მამა! ალავერდი თქვენთან! და ტოლუმბაშის ჩამოართვეს რაღაც მანქანებით უცბათ დაცალილი ყანწი. — „ძალიან გლეხია! მაგას ახლა მთელ კვირიკეთში ვერეინ ჯობს, ამბობდენ შექეიფიანებული მაყრები, — რა ვაჟი დაცულშვილიანებული ჰყავს; მერე რა შევნიერია ი უნცროსი რძალი!.. ეს ერთი ქალიშვილიც ჰყავდა გასათხოვარი და კიდეც მოიცილა თავიდან!“ — ამასობაში ამათ საცხოვ ყანწი მიუვიდათ. ისინი გაჯანჯლენ: ანტონას სადღეგრძელო რა ხანია დაელიეთო. მარა ეინ დაუჯერა! დაცულევინეს საწყლებს და ერთ შათვანს მაშინვე „მოწყდა კისერა“, — საბრალო უგრძნობლათ დავარდა ძირს. ყველა მთვრალია, დამხვდურიც დ მოსულიც, მარა ამ უკანასკნელებში ერთა ერთი მოგრძო სახის პატრონი, შავ-გრძელ-ზერა კაცი, რომელსაც იდნავ ეტყობოდა სიმთვრალე. — ამის წინ,

სუკრას ქეეშ ლენის ტბა იყო დამდარი. ეტყობოდა, რომ ლეინის სასმელათ არ ეცალა!—მის პირდაპირ ისხდენ ქალები, რომელთა შორის ერთი ყველაზე უკეთესი იყო, როგორც ცისკარი ვაჩსკელავებში. აი, ამ ქალისკენ, რომელსაც ქმრიანობა ეტყობოდა, ჰქონდა ამ კაცს თვალები და ქალსაც მისკენ. ამათ ერთმანეთს ბეჭრი უჭერიტეს, თვალების ქნევითაც მუსაიფობდენ, ნამეტნავათ მაშინ, როცა სუფრაზე არეულობა შეიქნებოდა. რომ დაღმდა და ყველა ლეინით გაიქლენთა, ქალმა თვალი უყო კაცს და ორნივე ერთათ შეუმნენელათ გავიდენ კარში.

## II.

ეს კაცი შეხედულობით იყო იმისთანა, რომ მისებრს ამ დროში ძეირათ შეხედებით.—იგი იყო მალალი, სქელ-ბეჭებიანი; მისი მსხეილ-მსხეილი მკლავები, ცოტა მოგრძო პირისახე, შავი გრძელი წერტილი, მაყვალსაეით შავი დიდი თვალები—გრძელი წამრამებით, მათზე გაწოლილი სქელი წარბები და თავზე ხშირი თბა, ყველა ეს ამ კაცს ზოგიერთ სუსტ არსებისათვის საშიშ შესახედავათ ხდიდა და უფრო გულ-მაგრებს კი მის დანახვაზე გაახსენდებოდათ ძელი დროის რომელიმე გმირი. ზნებით და ხელობით კი... მაგრამ რომ ესენი შევიტყოთ, დაეიწყოთ ცოტა შორიდან.

იასონ პირბადიანი და მისი ცოლი ქეთო ხანში შესული ადმინისტრი იყვენ და ერთი ვაჭიშეილის მეტი არა გააჩნდათრა. თუმცა ფულზე კი ძეირობდენ, მაგრამ სახნავ-სათესი და ტყიანი ადგილები კი ბლოთ ჰქონდათ. ამ სიმიდიდრის წყალობით ფიქრობდენ

ნი შეილის აღზრდას სასწავლებელში. ჰქონდათ ხეში ძეელი მოსაზრება: „შეილი მტრულათ გა და მოყერულათ მოვეპყრობაო“, საწყალ ბავ სინი საშინელ დარჯაკში ატარებდენ; ტუქსავდ, შინებდენ, არ აძლევდენ თავის დროზე ბავ-შებთ: იმაშობის ნებას — გაქსულებეა; არ შეეძლო საბრა, რომ დედ-მამის დაუკითხავათ ერთი ვაშლი ან იმ მოეწყვიტა ეზოში, — გაწუწდება და კაცათ არგებსო. ამის გამო საბრალო ბავში იძულებული იყო თავის ბავშურ ბუნების დასაქმაყოფილებლათ გაპარულიყო ბავშებში და ისე ეთა-მაშნა, ან კიდევ მოპარეოთ წაელო საღმი ხილეულობა და თავი შეექცია. ერთხელ პატარა ბახუ (ეს იყო ამ ბავშის სახელი), ოთახში შემალული, რაღაცას აკარუნებდა. იასონი მივიდა და კარებზე დაუკაუნა, მანდ რას აკეთებო.— „არაფრის, ბაბა, ვლოცულობ და მალე გამოვალო“. ბახუმ იცოდა, რომ იმ ოთახში მისი დედ-მამა სალოცავათ შედიოდენ. იასონში შეილს ამ ხანათ არაფრი უთხრა და კიდეც გაეცინა: რო-

გორ მოახერხა და თავიდან მომიშორა, ნიჭიერი იქნება სწორეთო!.. — მაგრამ იქნება ვიზმემ იუვერის; რავი პატარა ბახუს ასე ტუქსაედენ, აღმათ მას ბეჭითობას და შრომის აჩვევდენ; კიდეც ეს არის, რომ ეს ასე არ იყო. „ერთი გვეას და თუ ჟაჭაფავეთ და ვაშრომეთ, დასუსტდება, დაავათმყოფდება და მერე, ვინ იყის, რა დაემართებაო“, ამბობდენ ბახუს აღმშრალელები—იასონი და ქეთო. ამ აზრის მიხედვით ისინი შეილს წყლის მოსატანათაც არ აგზანიდენ და ამზე მძიმე საქმეს ხომ, რასაკეირცელია, არ აკადრებდენ. პატარა ბახუ შეიდის წლისა შეიქნა, დრო იყო, რომ მას წიგნის კითხვა დაეწყო. მართლაც იასონმა უყიდა შეილს „კოკორი“, მიიყვანა იგი მთელ სოფელში განთქმულ „მასწავლებელთან“, რომელმაც ბავშს კითხვა ამ ნაირათ დააწყებინა: ახალმთვარეზე მიიყვანა იგი წყაროსთან, ჩაყრევინა შიგ ტატველა ფეხები, მიუკადა გვერდით და აკითხებდა: ან, ბან, გან, დონო. „მასწავლებლის“ სიტყვით წყალში ფეხების ჩაყრა ნიშნავდა იმას, რომ ბავში წყალსაეით წაიკითხას წიგნსო. მართლაც გავიდა მთელი წელიწაუი და ბავში „წყალსაეით“ ჰკითხულობდა: გაიზპირა ანბანი რიგისამებრ და მის მეტი აღარა ანსოედარა! მასწავლებელს ჯავრი მოსდიოდა: როგორ შემარცხეინა ი საძაგლმა, ამდენხანს კითხვა ვერ ისწავლა, თავი მომჭრა! მარა რა ჩემი ბრალია!.. უნიჭობა და მე რა უყუო, ჩემ ტვინს ხომ ვერ ჩაუდებო? — ამბედებდა იგი თავის თავს და იასონსაც ამასევ ეუბნებოდა. უკანასკნელს მასწავლებლის სიტყვა სარწმუნოთ მიაჩნდა, მარა მაინც თავისას არ იშლიდა: რაც მომიგა-მომიერიდეს და ჩემ შეილს კი უსწავლელს არ დავტოვებო! მართლაც ბახუს დაადგა სიცხე: ყოველ-დღე წეპლით დევდენ, — ან პოკედი, ან ისწავლეო, ჩაჰევირდები მშობლები და შრომის მიუჩვეველ ბავში ეს ამბავი, რასაკეირცელია, საშინალო ეუცხოვებოდა... თავ-ბედ მოძღვლებული წიგნს ხან ხად ისვრიდა და ხან ხად... ბოლოს, დიდ ვაი-ვაგლას შეზეგ, ბავშმა შეისწავლა მცირეოდნათ კითხვა და მერე კი, რა რომ კითხეის ძალა შეიტყო, ჩინებულათ შეიუვარა წიგნი. გაათავა „კოკორი“, „დედა-ენა“ და ამ დროს სასწავლ ებედშიაც მიბარეს, სადაც მან ჩინებული შეგირდ სახელიც მალე მოიპოვა. იასონის და ნამეტნავას ქეთოს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა; მაგრა ამ დროს ერთმა გარემოებამ იასონის სიხარულსაც მოულობლო და მასი შეილისაგან სწავლის გაგრძელებასაც.

## ღ. თომშვილი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ა. თ. წერტლიანა.